ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 2021 №29 (8558) ფასი: 60 თეთრი

## მთავრობა შეზღუდვებს ხსნის



გვ.2

# „გახარიასთან თანამშრომლობას გამოვრიცხავ. ის 20 ივნისს ვერ ჩამოირეცხავს“



თაკო ჩარკვიანი: „ეს ბრძოლის დასაწყისია. ჩემი ინფორმაციით, მალე პიროვნული სანქციები დაიწყება“ გვ.2



## „ნიკა მელია ივანიშვილის დავალებით დააკავეს“

„თუ დასავლეთიდან სანქციები წამოვიდა ადგილობრივ არჩევნებამდე, ეს სერიოზული დარტყმა იქნება „ქართული ოცნებისათვის“



პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნება“ ქვეყანას ველარ მართავს და ყურადღების გადატანას ცდილობს“



გვ.3

## „ნიკა მელიამ შექმნა დღის წესრიგი საქართველოში“



გვ.4

შოთა მალაშხია: „ღარიბაშვილმა და კობახიძემ 23 თებერვალს როდიონოვის სამხედრო ოპერაცია გაიმეორეს“



გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „დიალოგისთვის საწყისი პოზიციების შეცვლაა საჭირო ორივე მიმართულებით. საუბრობენ კომპრომისზე, მაგრამ არავინ არის მზად კომპრომისისთვის“

## ხელისუფლებას ნიკა მელიას გათავისუფლება მოუწევს!

## „გახარია ივანიშვილის ხათრით იყო პრემიერი“



გვ.4

პეტრე მამრაძე: „სააკაშვილს მელია პარტიის თავმჯდომარედ არ უნდოდა“

ISSN 1987-9385

5 შატილთან ავარიის საქმეზე „თრეველ ჯის“ დირექტორი და მიკროავტობუსის მეპატრონე დააკავეს

6 საბერძნეთი ევროკავშირს ვაქცინის „პასპორტების“ მიღებისკენ მოუწოდებს

5 საია: „პოლიციამ ენმ-ს ოფისში ქიმიური საშუალებები კანონის დარღვევით გამოიყენა“

6 აშშ-ის სენატი კაპიტოლიუმზე თავდასხმას იძიებს

# „გახარიასთან თანამშრომლობას გამოვრიცხავ. ის 20 ივნისს ვერ ჩამოირეცხავს“

## თაკო ჩარკვიანი: „ეს ბრძოლის დასაწყისია. ჩემი ინფორმაციით, მალე პიროვნული სანქციები დაიწყება“

იაგო ნაცვლიშვილი

**რა რესურსი რჩება მიზნის მისაღწევად იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება, დასავლეთიდან გაკეთებული მწვავე განცხადებების მიუხედავად, დათმობაზე არ მოდის? რა კითხვებს უსვამენ ადამიანები რუსულ ვექტორთან დაკავშირებით და რატომ არის მისთვის მიუღებელი ღირებულებებზე ამ კონფიგურაციით ბრძოლა? რას ელის პოლიტიკური პროცესისგან? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარტია „კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**



***— იმ მწვავე განცხადებების მიუხედავად, რომლებიც კეთდება დასავლეთის მხრიდან, ხელისუფლება უკანდახევას არ აპირებს და საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ისიც კი გვითხრა, ზომიერების ფარგლებშიაო. ამ ფონზე რა რესურსი რჩება?***

— მე არაერთი განცხადება მაქვს გაკეთებული, მათ შორის თქვენთან ინტერვიუშიც, რომ ეს ხდება მიზანმიმართულად. დასავლეთის აზრს ასე არ ითვალისწინებდე, არა მგონია, შემთხვევით ხდებოდეს. მგონია, რომ მიზანმიმართულად კონფრონტაციას ეძებს ხელისუფლება. ვფიქრობ, მათ სურთ კონფრონტაცია დასავლეთთან. ეს ხელისუფლება არის რუსული ინტერესების გამტარებელი და მას სულ არ უნდა შესვლა ევროატლანტიკურ სივრცეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ქმედებები ძალიან რთულად დასაჯერებელია.

ვხედავთ, რომ მთელი მსოფლიოდან მოდის მელიას მხარდამჭერი წერილები. ახლა, ჩემი ინფორმაციით, დაიწყება პიროვნული სანქციები. რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ეს მალე დაიწყება.

***— თუმცა გუშინ სენატორმა ადამ კინზინგერმა თქვა, ასეთი რაღაცები ამერიკაშიც მოხდარა და სანქციების ეტაპი ჯერ არ დამდგარაო.***

— ვნახოთ. ბრძოლაა იმისათვის, რომ მიზანი იყოს მიღწეული. თქვენ გახსოვთ, სულ გვეუბნებოდნენ, ბოიკოტი არ არის საჭიროო. ბოიკოტმა გამოიწვია ის სიტუაცია, რომ დასავლეთმა კარგად დაინახა, ვინც არის დღეს ხელისუფალი. უნდა იმუშაო და დაანახო. ვხედავთ, ახლა რა განცხადებებიც კეთდება, მაგრამ ეს ბრძოლის დასაწყისია. ამის იმედი არავის ჰქონდა, მაგრამ ახლა სრულიად სხვაგვარია ვითარება. ეს არის ბრძოლა, ბრძოლა რუსულ მართვასთან და ოლიგარქიასთან. ეს არის რთული, მაგრამ ბრძოლას ყოველთვის მოაქვს შედეგი.

***— ელისაშვილმა გითხრათ ოპოზიციას — რატომ გაატანეთ, ხომ ამბობდით, არ გავატანთო და რა პასუხი გექნებათ?***

— ელისაშვილი... დიდი ხანია, მე ამ ცრუპენტელას არ ვპასუხობ, იმიტომ, რომ ჩვენ პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია ვართ და სისხლისღვრაზე არ წავედით. ვნახეთ, რომ ძალიან აგრესიულები იყვნენ. თავიდანვე ამბობდნენ, რომ ამათ რევოლუცია უნდათ და ა.შ. ვინ თქვა, რომ რევოლუცია გვინდოდა?! შეიარაღებულები ვიყავით?!

ჩვენ პასუხისმგებლობითა და თანმიმდევრულად ვიქცევით. ჩვენ მივდივართ მიზანმიმართული პოლიტიკით და მთელ მსოფლიოს დავანახეთ რუსეთზე მომუშავე ხელისუფლება. ანექსიის მონატრებულ ხელისუფლებას კი დავანახეთ დასავლეთი და მისი რეაქცია. ეს არის ჩვენი თანმიმდევრული მუშაობის პროცესი და შედეგი.

***— ოპოზიცია ამბობს და ალბათ თქვენც, რომ გახარიამ გადადგა სწორი ნაბიჯი. იმ ყველაფრის ფონზე, რაც ვნახეთ 20 ივნისს, მზად ხართ, ითანამშრომლოთ გახარიასთან, თუ ის პოლიტიკაში დარჩენას გადაწყვეტს?***

— არა! ნაბიჯი გადადგა ამ ეტაპისთვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას ჩამოერეცხა 20 ივნისი. ამხელა პასუხისმგებლობა აიღო მაშინ და ამხელა ზიანი მიაყენა ამან მთელ საქართველოს. რას ნიშნავს, ვითანამშრომლოთ მასთან? ამით ჩამოირეცხავს იმ დანაშაულს?! არა, ასეთ რაღაცას არ ვუშვებ.

მინდა, ობიექტური ვიყო და ვიტყვი, კარგია, რომ მან ახლა სწორი ნაბიჯი გადადგა. ამ გადაწყვეტილებას მოვიწონებ, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვუხსნი 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას. ეს გამორიცხულია.

***— ალბათ მეთანხმებით, საჭიროა ფართომასშტაბიანი აქცია იმისათვის, რომ ხელისუფლება რაღაცნაირად შეშინდეს და დათმოს. რა გეგმები გაქვთ აქციის თვალსაზრისით?***

— კი, გეთანხმებით, მაგრამ ოპოზიციამ არ უნდა დაუშვას იგივე შეცდომები. როდესაც საერთო პროტესტია, იცით ჩემი დამოკიდებულება, რომ იქ ვხედავ ძალიან ჭრელ საზოგადოებას. რაღაცნაირად ამ ყველაფერს ვიტან იმის გამო, რომ საქართველოში არ შემოგრიალდეს რუსი და საბოლოოდ უარი არ ვთქვათ ევროატლანტიკურ სივრცეზე. მაგრამ ერთი „მაგრამ“ არსებობს, ჩემთვის არა — საზოგადოებისთვის. ჩემი სამეგობრო თხემით ტერფამდე დასავლეთია და მათაც და საზოგადოების წევრებსაც ბევრი კითხვა უჩნდებათ, როდესაც ჩვენ რუსულ ვექტორთან ვსხედვართ. როდესაც მე მოწინააღმდეგეს ველაპარაკები საქართველოს ანექსიაზე, მაგ დროს მაგიდასთან ზის ანექსიის მოსურნე და რუსეთის ჯარის შემოყვანის მსურველი. მე მისვამენ ხოლმე ამ კითხვას ჟურნალისტები და ვერაფერს ვაკეთებ. მასაც აქვს უფლება, დაიცვას უკანონობა.

***— აქციებთან რა კავშირშია ეს?***

— კავშირშია, იმიტომ, რომ როდესაც ანექსიასა და საშიშროებაზე იწყებ ლაპარაკს, იქ უკვე მართლა გაუგებარი ხდება რუსული ვექტორის შენ გვერდით ყოფნა. ეს უშლის ხელს გარკვეული ადამიანების მოსვლას აქციაზე. რა ვქნა, რომ ასეა?! ადამიანები გვეუბნებიან, გვესმის, რომ არჩევნების გაყალბებასთან და უკანონობასთან დაკავშირებით რუსულ ვექტორთან ერთად სხედხართ, ეს მათი კანონიერი უფლებაც არის, მაგრამ ანექსიაზე როცა საუბრობთ ეთერში, სირცხვილია, როდესაც ჯარის შემოყვანის მოსურნე გიზით გვერდითო. ეს არის ლეგიტიმური კითხვა. მესმის, რომ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის უფლება რუსულ ვექტორსაც აქვს. ეს ნორმალურია, მაგრამ რუსულ ანექსიაზე თუ მათ გვერდით დავიყენებთ, ხალხი არ მოვა.

***— მაშინ, რა უნდა მოხდეს, პოლიტიკური ველის გაკრისტალება გინდათ?***

— ვაკეთებთ ყველაფერს, რათა რაღაცნაირად შევთანხმდეთ, რომ რუსულ ვექტორთან არ ვილაპარაკოთ ღირებულებებზე და მხოლოდ კანონდარღვევებთან დაკავშირებით.

***— ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე აქციებზე არ უნდა მოვიდეს?***

— არ ვამბობ, რომ არ უნდა მოვიდეს. ვცდილობ, ხალხს გავაგებინო, რომ ვადამდელთან დაკავშირებით ერთად ვართ. რამდენად ვაგებინებ საზოგადოებას, ვერ გეტყვით. თუ გაიგებენ, ხომ კარგი, თუ არადა ვერაფერს ვეტყვით. ეს მათი უფლებაა.

***— პროცესს იმედიანად უყურებთ?***

— კი, იმედიანად ვუყურებ და ვუფრთხილდები თითოეულ ადამიანს. როდესაც ასეთ თემასთან დაკავშირებით მისვამენ კითხვას, ვცდილობ, მაქსიმალურად ავხსნა, რომ მხოლოდ ვადამდელ არჩევნებს მივაღწიოთ. პირდაპირ გეტყვით, რაღაც მომენტში ამის გაგება უჭირთ ხოლმე.

# „გახარიას განსაკუთრებული მადლობა!“

## 20-დღიანი მუშაობის შემდეგ კახა ქემოკლიძე გადადგა

გუშინ, 24 თებერვალს, მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა კახა ქემოკლიძემ თანამდებობა დატოვა.

ამის შესახებ ქემოკლიძემ სოციალურ ქსელში დაწერა.



„დადგა დრო, როდესაც ზუსტად 10-წლიანი აქტიური, უზომოდ დინამიკური და გამოწვევებით სავსე სამსახურის შემდეგ უნდა დაგემშვიდობოთ, როგორც საჯარო მოხელე და ყოფილი უსაფრთხოების ოფიცერი.

10 წლის განმავლობაში მქონდა პატივი (ალბათ უიშვიათესი), რომ მემუშავა განსაკუთრებულ ადამიანებთან, ხელმძღვანელებთან და ლიდერებთან (როგორც წინა, ისე ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში). ვფიქრობ, ეს 10 წელი იყო ღირებული იმითაც, რომ ჩემს თვალწინ გაიზარდა ახალგაზრდა პროფესიონალების და გულწრფელი პატრიოტების ისეთი თაობა, რომელიც მომავალში იქნება ქვეყნისთვის მყარი საყრდენი!

არ შემიძლია, განსაკუთრებული მადლობა არ გადავუხადო ყოფილ პრემიერ გახარიას! ადამიანს, რომელსაც, არ დაგიმალავთ, ეჭვის თვალითაც კი ვუყურებდი დასაწყისში. მადლობა გახარიას იმისთვის, რომ იყო თავდაუზოგავი (ხშირ შემთხვევაში ფიზიკურად ამოუხსნელი) შრომის, საოცრად სწრაფი ფიქრის უნარის, სწორი სახელმწიფოებრივი ფასეულობების და ღირებულებების მატარებელი და ბევრისათვის სამაგალითო ლიდერი.

მინდა, სახელმწიფოებრივ საქმეში გულწრფელად წარმატება ვუსურვო ახალ პრემიერს. საქართველოს, განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების, რელიგიური მრწამსის, ეთნიკური კუთვნილების, მსოფლმხედველობის და ა.შ. მიუხედავად, სჭირდება საზოგადოების კონსოლიდაცია, რადგან წინ ბევრი რთული გამოწვევაა! ამ ქვეყნის ძალა არის მხოლოდ ერთობაში! მე დროებით გემშვიდობებით. ჩვენ კვლავ შევხვდებით!“ — დაწერა კახა ქემოკლიძემ.

კახა ქემოკლიძე მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად 20 დღის წინ, 4 თებერვალს დაინიშნა.

# მთავრობა შეზღუდვებს ხსნის

კორონავისურის გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ გუშინდელ, 24 თებერვლის სხდომაზე დაწესებული მთელი რიგი შეზღუდვის მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. შეზღუდვების ნაწილის მოხსნა 1-ლი მარტიდან დაიწყება.

რეგულაციების შემსუბუქების შესახებ დეტალურ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

„მთავრობის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რეგულაციების შემსუბუქების გეგმა შემდეგია:

სასტუმროები სამთო კურორტებზე გაიხსნება ხვალიდან, 25 თებერვლიდან არსებული ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;

სამთო კურორტებზე არსებული საბაგიროები გაიხსნება 8 მარტიდან, ასევე ეპიდემიოლოგიური სტანდარტებისა და რეგულაციების სრული დაცვით;

საქალაქთაშორისო ტრანსპორტი ამოქმედდება ხვალიდან, 25 თებერვლიდან;

რესტორნები შიდა სივრცეებში ფუნქციონირებას განაახლებენ შაბათ-კვირის გარდა ბათუმში 1 მარტიდან, ხოლო დანარჩენ საქართველოში 8 მარტიდან;

ამასთან, ძალაში რჩება 21 საათიდან დილის 5 საათამდე გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა;

რესტორნებს შიდა სივრცეებში მოუწევთ დადგენილი რეკომენდაციებისა და სტანდარტების ზედმიწევნით დაცვა, რაც შესაბამისი უწყებების მხრიდან მკაცრად გაკონტროლდება;

კონფერენციები და ტრენინგები შესაბამისი პროტოკოლის დაცვით განახლდება 1 მარტიდან;

სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ 15 მარტიდან განსაზღვრული რეგულაციების დაცვით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, როგორც საჯარო, ისე კერძო, ფუნქციონირებას აღადგენენ 1 მარტიდან 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20%-ის სავალდებულო ტესტირების პირობით;

უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩატარებას შეძლებენ 1 მარტიდან, ხოლო სასწავლო პროცესის აუდიტორიებში აღდგენას — 15 მარტიდან;

სასკოლო წრეები ასევე განახლდება 15 მარტიდან;

მუზეუმები და ბიბლიოთეკები საქმიანობას განაახლებენ 1 მარტიდან;

თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენას (თეატრალური წარმოდგენები, სპორტული შეჯიბრებები მაყურებლის დასწრებით) 1 აპრილიდან;

არასასურსათო საცალო ვაჭრობა შაბათ-კვირის ჩათვლით, იგულისხმება როგორც სავაჭრო მოლები, ისე ბაზრობები, მუშაობას განაახლებენ 8 მარტიდან;

ამასთან, საკოორდინაციო საბჭოზე ასევე მივიღეთ გადაწყვეტილება ქვეყანაში ვიზიტორების დაშვებასთან დაკავშირებული რეგულაციების შემდგომ შემსუბუქებაზე, კერძოდ, იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს საქართველოს საჰაერო საზღვრის გავლით ქვეყანაში შემოსვლა შეუძლიათ პისიარ ტესტის ნეგატიური პასუხით, 1 მარტიდან ემატება შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ყაზახეთი, რუსეთი, ბელარუსი. სახმელეთო საზღვრებზე ამ ეტაპზე ისევ ვინარჩუნებთ დღეს მოქმედ რეჟიმს“, — ნათქვამია მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ანრი ოხანაშვილი: „გომელაურს ჯერ ვენტილაცია უნდა დაეყენებინა ნაცმოძრაობის ოფისში და მერე შესულიყო?!“



ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა, რითაც სანქციების თაობაზე ოპოზიციის განცხადებებს გამოეხმაურა.

მისივე თქმით, ხალხს აღარ სურს 48 მილიონი ლარის „მომპარველების ხელისუფლებაში ყოფნა“.

— გივი თარგამაძე ყველას გვახსოვს, პარლამენტის შენობიდან ემუქრებოდა ქართველ ხალხს, სულს ამოგხდითო. ქართველმა ხალხმა ეს ადამიანი გაისტუმრა იმ სივრცეში, საიდანაც მას აღარ უნდა შეეძლოს დემოკრატიულ პროცესებში ჩართვა და მართვა. ალბათ, ბოლომდე რომ ვერ ამოხადა სული ქართველ ხალხს, ამით უკმაყოფილოა და აგრძელებს იმავე რიტორიკას, რაც ძალიან მძიმეა და მიუღებელი.

— სანქციები ჯერ ამ ხალხს აქვს დაწესებული ჩვენი საზოგადოების მხრიდან — უგულავებს, თარგამაძეებს სამუდამო სანქცია აქვთ ხელისუფლებაში არმოსვლის და სხვა სანქციების საკითხი დღის წესრიგში არ დგება და ვერც დადგება.

ამ ხალხთან გვაქვს საქმე.

გიგი უგულავა კი პოლიტიკოსი კი არა, 48 მილიონის გამფლანგველი და მსჯავრდებულია. მე ის მიკვირს, რომ მის გვერდით დგას ხალხი, ვინც კარგად იცის, რომ უგულავამ 50 მილიონი მოჰპარა სახელმწიფო ბიუჯეტს.

დღეს ამბობენ, ნაცმოძრაობის ოფისში ვენტილაცია რომ არ იყო გამართული, ამიტომ შესაძლოა არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან გვქონოდა საქმეო, აი, აქამდე მივედით — ძალის დემონსტრირებით კი არ ხდება ვინმეს დაკავება, არამედ მაქსიმალური სიფრთხილით და თურმე გომელაურს ჯერ ვენტილაცია უნდა დაეყენებინა, მერე შეემოწმებინა და შემდგომ შესულიყო, — განაცხადა ოხანაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნიკა მელია ივანიშვილის დავალებით დააკავეს“

## პაატა ზაქარეიშვილი: „ოცნება“ ქვეყანას ველარ მართავს და ყურადღების გადატანას ცდილობს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო პაატა, მძიმე სიტუაციაა ქვეყანაში. სერიოზული წნეხია ხელისუფლებაზე დასავლელი პარტნიორების მხრიდან. გვესმის შეფასებები, რომ ასეთი მკაცრი განცხადებები დასავლეთს 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ არ გაუკეთებია. რამდენად ჩიხურ სიტუაციაშია ხელისუფლება?***

– ნამდვილად რთული ვითარებაა. ასეთი სუსტი ხელისუფლება არ ყოფილა არასდროს. ასევე ოპოზიციაც არ ყოფილა ისეთი სუსტი, როგორიც დღესაა. ოპოზიცია ძალიან არაპოპულარულია საზოგადოებაში. ადრე ყოველთვის ასე იყო, იყო არაპოპულარული ხელისუფლება, ამ ხელისუფლებით უკმაყოფილო საზოგადოება, რომელსაც სათავეში ედგა პოპულარული ოპოზიცია. საზოგადოება ენდობოდა ოპოზიციას, გამოდიოდნენ ქუჩაში და აღწევდნენ თავიანთ მიზანს. ასე წავიდნენ შევარდნაძეც და სააკაშვილიც. მაშინ ხალხის ნება იყო ძლიერი. დღეს ხალხის ნება არ ჩანს. ამიტომ გაშიშვლებულია როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება. ორი გუნდი თამაშობს სტადიონზე და ტრიბუნაზე მაყურებელი არ არის.

***– იმიტომ, რომ არც ერთი გუნდი არ მოსწონს?***

– დიახ, ზუსტად ასეა. საზოგადოება აბსოლუტურად არ არის ჩართული პროცესებში. ეს სიჯიუტე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ახლა ხელისუფლებამ უნდა დათმოს, რადგან ოპოზიციას დასათმობი არაფერი აქვს. ოპოზიცია თუ არ დათმობს, არაფერს კარგავს. ხელისუფლება თუ არ დათმობს, ის კარგავს საერთაშორისო მხარდაჭერას, საზოგადოებაში იწვევს კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას. მართლაც გამაოგნებელი სიტუაციაა, დღეს იმდენად სუსტია „ქართული ოცნება“, იმდენად არ შესწევს ძალა, სახელმწიფო მართოს, რომ 31 ოქტომბერს დასრულებული არჩევნების კონტექსტი გრძელდება დღესაც. ხან ელისაშვილი, ხან გირჩი, ახლა – მელია. ამას წარმოგვიჩენენ პრობლემად და ქვეყანაზე და რეალურ პრობლემებზე არ ფიქრობენ. პანდემიაა. თქვენ იცით, როდის მოგიწევთ ვაქცინაცია?! მე არ ვიცი!

***– ჯერ შემოტანის საკითხიც არ გადაწყვეტილა.***

– ეგაა მთელი უბედურება. ჩააწყვეს საქმე, ძლივს 28 ათასი დოზა იშოვეს და ისიც ვერ შემოუტანიათ. სრული კოლაფსია ამ მიმართულებით. ხალხმა ამაზე რომ არ ილაპარაკოს, ამიტომ ლაპარაკობენ მელიაზე.

***– ყურადღების გადატანა ხდება მნიშვნელოვანი საკითხებიდან?***

– რა თქმა უნდა, ცალსახად ასეა. არ შემოდის ოპოზიცია პარლამენტში, ნუ შემოდის, მიხედეთ ქვეყანას მათ გარეშე! სულ ამაზეა ლაპარაკი. არ არსებობს სხვა თემა? ეს მიზანმიმართული პროცესია.

***– რამდენად სწორი იყო ამ ეტაპზე ნიკა მელიას დაკავება და სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმება?***

– გააჩნია, რა ამოცანა აქვთ. ქვეყანას რომ ემსახურებოდეს მათი ქცევები, მაშინ არასწორი იყო, მაგრამ, თუ ემსახურება ხელისუფლების შენარჩუნებასა და თემების გადატანას, ოღონდ არ ვკითხოთ ვირუსსა და სიღარიბეზე, ასევე – ეკონომიკაზე. თუ ესაა, მაშინ სწორად იქცევიან. გააჩნია, მათი ამოცანა რა არის. მათი ამოცანა კი არის ის, რომ როგორმე მიბობღდნენ ადგილობრივ არჩევნებამდე. დღეს მათი მიზანია, როგორმე გაიმარჯვონ ადგილობრივ არჩევნებზე და მერე იტყვიან, რა დროს ვადამდელი არჩევნებია, მე ხალხმა ისევ მომცა ლეგიტიმაციაო.

***– მთელი დასავლეთი დაირაზმა ხელისუფლების წინააღმდეგ, სულ ცოტა ხნის წინ კი მათ მხარეს იყვნენ. ასე უცებ როგორ გააფუჭეს და შემოაბრუნეს სიტუაცია თავიანთ საწინააღმდეგოდ?***

– ხელისუფლების ტრაგედია ის არის, რომ თუ წარმატებას მიაღწევენ, ვიღაც შეაქებს, დაიჯერებენ ხოლმე, რომ ეს არის სამუდამო. ეს არის ყველაზე უგუნური და წინდაუხედავი პოლიტიკოსების ქცევა. სააკაშვილსაც ასე მოსდიოდა ხოლმე. დასავლეთი აფასებს კონკრეტულ მოვლენას კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

***– დიდი ნეგატივით დაიწყო ღარიბაშვილმა პრემიერობაო. ასეა?***

– უაღრესად დიდი ნეგატივით დაიწყო. ღარიბაშვილი ისედაც არ იყო პოპულარული. ჯარი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია საქართველოში ეკლესიის შემდეგ. ამიტომ იყო მცდელობა, რომ მომხდარიყო ღარიბაშვილის პოპულარობის გაზრდა. ამიტომ დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, უნდოდათ მისი რეიტინგის ამაღლება, თუმცა ვერ გამოიყენა ეს. როგორც კი გამოჩნდა ღარიბაშვილი ამ პოსტზე, იმწუთში დაანგრია მთელი თავისი რეიტინგი. ის არის უაღრესად არაპოპულარული. ამას ემატება ის არაპოპულარული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კობახიძე პარლამენტში. მეორე მხარეს კი არასანდო ოპოზიციაა. კრიზისის მიზეზიც სწორედ ეს არის, რომ ორივე მხარეს არასანდო და არაპოპულარული ძალები არიან.

***– შეცდომა დაუშვა ივანიშვილმა, როდესაც ღარიბაშვილი მოაბრუნა ამ პოსტზე?***

– ჩვენ რატომღაც გვგონია, რომ ივანიშვილი ძალიან პოპულარული ადამიანია. არაფერიც არ შეეშალა, ის ასე ფიქრობს. ივანიშვილმა ჩათვალა, რომ კობახიძის აგრესიულობა საკმარისი არ არის და მას დაუმატა ღარიბაშვილის აგრესიულობა. ის სულაც არ ფიქრობს, რომ შეცდა, ფიქრობს, რომ მართალია, მიაჩნია, რომ ასეთ ოპოზიციას უნდა დაუპირისპიროს აგრესიული ძალა, სხვანაირად სისუსტეში ჩაეთვლება.

***– გახარია ვერ აღმოჩნდა ასეთი შემტევი?***

– გახარია არავის გაუშვია. ის თავად წავიდა. მას არ უნდოდა ამ პროცესში მონაწილეობა და ამ ხელისუფლებისთვის კიდევ ერთხელ ამ სიბინძურის მოწმენდა. მან იფიქრა, ძალოვნები შეცდომას უშვებენ და ყოველთვის მე რატომ უნდა ვიხადო ბოდიშიო. პანკისი იყო თუ ბასიანის მოვლენები, ყველგან ის მივიდა, ბოდიში მოიხადა და დააცხრო სიტუაცია. სხვის დაბინძურებულს წმენდდა თვითონ. მან დაინახა, რასაც უპირებდნენ და ამიტომ გადგა განზე. სხვათა შორის, გახარიასთან ერთად წავიდა ცქიტიშვილი. ამას რატომ არავინ მიაქცია ყურადღება?! ის გახარიას გამო წავიდა.



***– რატომ გაჰყვა ცქიტიშვილი გახარიას?***

– იმიტომ, რომ დაინახა, ამ მთავრობაში მისი ადგილი აღარ არის. ეს სრულიად სხვა „ქართული ოცნებაა“. სრული დისკრედიტაცია მოხდა „ქართული ოცნების“. ყველამ დაინახა ივანიშვილის გეგმები. ის პოლიტიკიდან კი არ წავიდა, პოლიტიკაში რჩება, უბრალოდ, ხელი სხვას შეახოცა. ეს კარგად გათვლილი იყო მისი მხრიდან. ახლა გამოდიან მისი დამცველები,

### „თუ დასავლეთიდან სანქციები წამოვიდა ადგილობრივ არჩევნებამდე, ეს სერიოზული დარტყმა იქნება „ქართული ოცნებისათვის“

ექსპერტები და ვითომ საზოგადო მოღვაწეები და აცხადებენ, რომ ივანიშვილი აქ არაფერ შუაში არ არის. გამოვიდა ნიკუშა შენგელაიას ცოლი და ივანიშვილი წასულია შორსო. რაში მაინტერესებს მე ივანიშვილის ცოლის დაქალის პოსტები, თუ სად არის ივანიშვილის ოჯახი. უბრალოდ, ჩვენ გასაგონად წერენ, ჩვენ უნდა გვაფიქრებინონ, რომ ივანიშვილი მართლა წავიდა. არადა, ივანიშვილის გარეშე არაფერი მოხდებოდა.

***– მასთან შეთანხმდა მელიას დაკავება?***

– რა თქმა უნდა. იმდენად სკანდალური ამბავია წამყვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაკავება, რომ მას კი არ შეუთანხმებდნენ, არამედ მასთან ერთად იმსჯელებდნენ, რა და როგორ. მასთან ერთად შემუშავდებოდა ყველა სცენარი. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ძალადობა არ აჩვენეს, მაშინ დამარცხდებიან. ჭადრაკშია ასეთი ტერმინი – ცუგცვაგი, რასაც არ უნდა აკეთებდე, შენ წინააღმდეგ მუშაობს. აი, ამ სიტუაციაშია დღეს ხელისუფლება. ამიტომ გადაწყვიტეს, აჩვენონ ძალა. ივანიშვილი ფიქრობს, რომ არ შეცდა და სწორ გზაზე დგას.

***– როგორ გამოძვრებიან ამ სიტუაციიდან? გაუძლებს დასავლეთის წნეხს „ოცნება“?***

– ბოდიში და ფეხებზე ჰკიდიათ მაგათ დასავლეთის წნეხი. მათთვის მთავარი ადგილობრივი არჩევნებია. მათი ლეგიტიმაცია დასავლეთში კი არა, ქართველ ამომრჩეველშია. ყველაფერს ხომ ვერ გააყალბებენ! ამიტომ მათ სჭირდებათ რაც შეიძლება ბევრი ალალი ხმა. მთავარია, დასავლეთმა სანქციები არ დააკისროს, თორემ მათი განცხადებები დიდად არ ანაღვლებთ. თუ დასავლეთიდან სანქციები წამოვიდა ადგილობრივ არჩევნებამდე, ეს სერიოზული დარტყმა იქნება „ქართული ოცნებისათვის“. თუ მოხდა ივანიშვილის ანგარიშების დაყადაღება, თუ კონკრეტულ პირებს დაუწესეს სანქციები, აი, ეს დააზიანებს ამ ხელისუფლებას. სწორედ ამიტომ გადმოიტანა ივანიშვილმა აქ თავისი ანგარიშები.

***– ამას გეგმავდა?***

– კი, ეს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი და დაგეგმილი. ერთადერთი, სადაც შეცდა ივანიშვილი, მან ვერ გათვალა გახარიასა და ცქიტიშვილის პატიოსნება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, ლაშა ნაცვლიშვილი წავიდა თავისი პოსტიდან და წავიდა ტელევიზიაში.

***– გაუშვეს?***

– არა, თავისი სურვილით წავიდა. წავიდა ერთი დღით ადრე ამ მოვლენებამდე. მას არ უნდოდა, პასუხისმგებლობა აელო იმაზე, რაც მოხდებოდა. მისი წასვლა და გარიდება ამ პროცესებიდან ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. აშკარაა, რომ ეს აგრესიული ფრთა მარტო დარჩა. რა დაწერა ლაშა ნაცვლიშვილმა? 2012 წლის ღირებულებების დასაცავად ვბრუნდები ტელევიზიაშიო. აშკარად მოხდა გამიჯვნა შიგნით გუნდში იმ ხალხისგან, ვისაც 2012 წელი არ შეუქმნია. 2012 წელს არც კობახიძე ყოფილა და არც მისი ფრთა. ახლა მთავარია, დასავლეთის ზეწოლას მოერიონ.

***– მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებიან? ოპოზიცია სანქციებს ითხოვს.***

– მეც მგონია, რომ ესენი სანქციების გარეშე ვერ მიხვდებიან, რა დააშავეს.

***– სანქციები ქვეყანასაც დააზიანებს...***

– ამიტომ სანქციები უნდა იყოს პიროვნული და არა თემატური. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება, რომ ვადამდელი არჩევნები, რომელსაც ოპოზიცია ითხოვს, დაემთხვეს ადგილობრივ არჩევნებს. ყველაზე ახლო და ყველაზე გონივრული თარიღი ეს იქნება. თუ ასე მოხდება, ეს ოპოზიციის ძალიან დიდი წარმატება იქნება.

# ხელისუფლებას ნიკა მელიას გათავისუფლება მოუწევს!

## ვახტანგ ძაბირაძე: „დიალოგისთვის საწყისი პოზიციების შეცვლაა საჭირო ორივე მიმართულებით. საუბრობენ კომპრომისზე, მაგრამ არავინ არის მზად კომპრომისისთვის“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ რამდენად არის მზად დიალოგისთვის და როგორ შეიძლება, ეს პროცესი დასრულდეს?***

– ძალიან რთული ვითარებაა, ამიტომ რთულია პროცესის დასასრულზე საუბარი. ჯერ ყველაფერი წინ არის. რაც შეეხება დიალოგს, ელჩები უკვე შეხვდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს, ახლა „ქართულ ოცნებას“ უნდა შეხვდნენ. არ გამოვრიცხავ, ამ ეტაპისთვის ხელისუფლების წარმომადგენლების ელჩებთან შეხვედრა შეიძლება იყოს ყველაზე გადამწყვეტი. სწორედ ამ შეხვედრაზე გახდება ცნობილი, თუ რისთვის არის დღეს „ქართული ოცნება“ მზად.

თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ ეტაპზე გარღვევას არ ველოდები. ამ ეტაპზე რთულად წარმომიდგენია, ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებზე წავიდეს. რაც შეეხება ნიკა მელიას საკითხს, შეიძლება, რაღაცნაირად გადაწყდეს. სასამართლო პროცესების შემდეგ, როგორც პროცედურა ითვალისწინებს, არ გამოვრიცხავ, პრეზიდენტმა შეიწყალოს.

***– როგორც ოქრუაშვილი და უგულავა?***

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. დასავლეთის რეაქცია მელიას საკითხზე მკვეთრია. დასავლეთის მხარდაჭერა ხელისუფლებას ამ საკითხზე არ აქვს. რაც შეეხება არჩევნების ლეგიტიმურობის საკითხს, აქ განსხვავებული მიდგომაა. დასავლეთი არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს კითხვის ქვეშ არ აყენებს, თუმცა დარღვევებზე მიანიშნებს ხელისუფლებას. მელიას მიმართ კი ვითარება კარდინალურად განსხვავებულია. ამიტომ ვამბობ, რომ არ გამოვრიცხავ, ნიკა მელიას მიმართულებით რაღაც ნაბიჯები ნამდვილად გადადგას ხელისუფლებამ, რომ ვითარება გამოასწოროს.

***– დიალოგს რომ დავუბრუნდეთ, დიალოგი იქნება დიალოგისთვის თუ რეალურად შეიძლება, ხელშესახები შედეგი დაიდოს?***

– სიმართლე გითხრათ, დიალოგის მომხრეა ყველა და რეალურად არავინ არის დიალოგის მომხრე. დიალოგისთვის საწყისი პოზიციების შეცვლაა საჭირო ორივე მიმართულებით, რაც არავის უნდა. საუბრობენ კომპრომისზე, მაგრამ არავინ არის მზად კომპრომისისთვის. დღეს, როგორც ჩანს, კომპრომისისთვის ადგილი არ რჩება.

***– რა გამოდის, რისთვის რჩება ადგილი?***

– იმ ვითარებისთვის, რომელიც გვაქვს დღეს – დაპირისპირებისთვის. სადამდე გაგა-



რძელდება ეს ვითარება, რთული სათქმელია, თუმცა ასე მარტივადაც რომ არ გადაწყდება, ესეც ფაქტია. ძალიან რთული სიტუაციაა. პროცესი ჩიხშია შესული. ელჩები პროცესს კი შუამავლობენ, მაგრამ მათ საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება არ აქვთ. მეორე მხრივ, თუ ტონი არ გამკაცრდება ორივე მიმართულებით, ვიქნებით იქ, სადაც ვართ.

დაახლოებით ისეთი ვითარებაა, როგორიც 8 მარტის შეთანხმებამდე გვქონდა. მაშინაც უგულავა და ოქრუაშვილი გაათავისუფლეს. მართალია, რურუა დატოვეს, როგორც ამბობენ, მძევლად, მაგრამ დაკავებულები მაინც გაათავისუფლეს. ამჯერადაც არ გამოვრიცხავ, ფართო ამნისტია იყოს პოლიტიკური მიმართულებით. როგორც ჩანს, მელიას გაათავისუფლებენ.

მეორე საკითხი შეეხება საარჩევნო კოდექსზე მუშაობას. შეიძლება, კოდექსი გახდეს კომპრომისის საგანი, მაგრამ, როგორც ჩანს, არც ერთ მხარეს რეალურად ეს არ უნდა, არ აწყობს. ეს არ აწყობს არც ნაციონალურ მოძრაობას და არც „ქართულ ოცნებას“. დაბალი ბარიერი ან უბარიერო სისტემა არ აწყობს არც ერთსა და არც მეორეს. პატარა პარტიები კი ნაციონალების ქოლგის ქვეშ არიან. არ გამოვრიცხავ, მიუხედავად ყველაფრისა, ნულოვანი ბარიერი მაინც შემოიღონ და კვლავ დაუშვან საარჩევნო ბლოკები. ეს აწყობს როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე – „ქართულ ოცნებას“. ეს იქნება ის არეალი, სადაც შეიძლება, შეთანხმება შედგეს.

კიდევ ერთი, რაც გამოკვეთა ამ მოვლენებმა, ისევ ორად გაყოფაა, ისევ პოლარიზაციაა, რაც ასევე აწყობს ერთსაც და მეორესაც. პატარა პარტიები კი ამას ან ვერ ხვდებიან, ან ხვდებიან და ფიქრობენ, იქნებ კოალიციური მთავრობა შეიქმნას და იქ იყოს მათი ადგილი. საქართველოში 1992-შიც კი იყო კოალიციური მთავრობა, 2003 წელსაც კოალიციური მთავრობა იყო, 2012 წელსაც, მაგრამ რეალურად არც ერთხელ არ გვყოლია კოალიციური მთავრობა, კოალიციური მმართველობა და, ალბათ, არც ახლა გვეყოლება.

2021, 25 თებერვალი, №29

# „ნიკა მელიამ შექმნა დღის წესრიგი საქართველოში“

## შოთა მალაშხია: „ღარიბაშვილმა და კობახიძემ 23 თებერვალს როდიონოვის სამხედრო ოპერაცია გაიმეორეს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოში შექმნილ ურთულეს მდგომარეობასა და გაღრმავებულ პოლიტიკურ კრიზისზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას.**

***– ოპოზიციონერები ამბობენ, რომ ხელისუფლება ამყარებს დიქტატურას. ის, რაც ამ დღეებში მოხდა, ამას ადასტურებს? შეუძლებელია, რომ მათ, ვინც ნიკა მელიას წინააღმდეგ მოქმედებები ჩაიფიქრა, არ სცოდნოდათ ამის შედეგები და მთელი დასავლეთის რეაქცია. იქნებ რაღაც სხვა იყო ჩაფიქრებული?***

– არა. ამ უბადრუკი გეგმების ორგანიზატორების არაჯანსაღი ტვინები ასე მუშაობს. ღარიბაშვილი და კობახიძე ყველაფერზე წამსვლელები არიან. ჯანსაღი ფსიქიკის ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანი საკუთარ ხალხს 1989 წლის 9 აპრილს არ მოუწყობს.

***– ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში ნიკა მელიას წინააღმდეგ განხორციელებულ ოპერაციაზე საუბრობთ?***

– რასაკვირველია. 9 აპრილივით ხალხი მოამწყვდიეს ალყაში. 9 აპრილის ჯალათი გენერალი როდიონოვივით იმეორებენ, რომ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზანი ჰქონდათ. ირაკლი კობახიძესა და ირაკლი ღარიბაშვილს მოუნდათ როდიონოვის სამხედრო ოპერაციის გამეორება 23 თებერვალს. სისხლი რომ არ დაიღვარა, ეს ნიკა მელიას დამსახურებაა. ადრეც მითქვამს, რომ ივანიშვილი შორს არ წასულა. მან ჩემოდნები ჩაალაგა. ის ელოდა მომენტს, როდის



ამოალაგებდა ჩაწყობილ ბარგს. ღარიბაშვილმა და კობახიძემ ყველა ღონე გამოიყენეს, რომ ეს მომენტი დამდგარიყო.

***– მაინც, რისთვის იყო საჭირო ასეთი მეთოდები?***

– ამათი ტვინი ასე მუშაობს. მათთვის მთავარია, ასიამოვნონ ბატონს. ბატონი ეტყოდათ, წესრიგი დაამყარეთო. ამათაც დაამყარეს. აბა, ღარიბაშვილისთვის ევროატლანტიკური მისწრაფებები არაფერს ნიშნავს.

***– ღარიბაშვილის მომხრეები იმით ამაყობენ, რომ მისი პრემიერობისას ევროკავშირთან გაფორმდა ასოცირების შეთანხმება.***

– ეს მოხდა ინერციით. მაშინ დასრულდა დაწყებული საქმე.

***– ღარიბაშვილი და კობახიძე ადრეც გამოირჩეოდნენ კონფრონტაციული რიტორიკითა და ოპოზიციის მიუღებლობით. ახლა რა არის ახალი?***

– ღარიბაშვილისა და კობახიძის ქცევაში ახალი არაფერია. სიახლე მდგომარეობს გარე ფაქტორში. მსოფლიომ შეცვალა დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ. რამდენიმე წლის წინ საერთაშორისო საზოგადოება ამათ მიმართ ლოიალური იყო. შემდეგ მოხდა ბევრი რამ, მაგალითად, ჩაიშალა ანაკლიის პროექტი. საქართველო ამოვარდა საერთაშორისო განხილვების ორბიტიდან. მოისპო სახელმწიფო ინსტიტუტები – პოლიცია პოლიციას არ ჰგავს, პროკურატურა – პროკურატურას. სასამართლო ფაქტობრივად არ არსებობს. წინა ხელისუფლების დროსაც იყო სასამართლოში პრობლემები, მაგრამ ახლა უარესია – დღეს სასამართლო პოლიტიკურ დაკვეთებსაც ასრულებს და ქრთამებსაც იღებს.

***– გამზადებული ჩემოდნები ახსენეთ. მომხდარის ფონზე ივანიშვილი ბარგს ვერ ამოალაგებს?***

– ვერა. ყველაფერი სრულად გაშიშვლდა. ეს არის ნიკა მელიას მიღწევა. მან შექმნა დღის წესრიგი საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ნიკა მელიას მოქმედებებს მოჰყვა კლიმატის ცვლილება.

***– მის მიმართ დამოკიდებულება ცხადი გახდა მაშინ, როცა პარლამენტმა მას იმუნიტეტი მოუხსნა.***

– ეს ხომ საერთოდ სამასხარაო საკითხია! 51 დეპუტატს უნდა უფლებამოსილების მოხსნა. ეს საცოდავი პარლამენტი ამაზე უარს ამბობს, მაგრამ, იმავე დროს, იმუნიტეტს უხსნის ამ 51-დან ერთ კაცს. იმუნიტეტს უხსნიან და ხალხმრავალ ოფისში შტურმს უწყობენ რისთვის? იმისთვის, რომ არ გადაიხადა 40.000-იანი გირაო. ამას უკეთებენ პოლიტიკურ ლიდერს. იგივე ხელისუფლება ზუგდიდის ბანკში ფულის მოთხოვნის საპასუხოდ ესებუას ნახევარ მილიონს აძლევს. ნაციონალური მოძრაობის ოფისზე შტურმი ისე იყო მოწყობილი, რომ შეიძლებოდა, სისხლი დაღვრილიყო. ეს შეიძლებოდა გამოეწვია ერთ პატარა გაუფრთხილებლობას.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ტრაბახობენ უსისხლო ოპერაციით.***

– ეს ხელისუფლების კი არა, ნიკა მელიას დამსახურებაა.

***– ოპოზიციის მთავარ მოთხოვნად მელიასა და რურუას გათავისუფლება იქცა? ერთ-ერთი მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნებიც არის?***

– რასაკვირველია. აბა, ეს ხომ პარლამენტი არ არის! გაყალბებასა და ოპოზიციის არშესვლას თავი დავანებოთ. ვინც მართლა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, იმისთვისაც არალეგიტიმურია ეს პარლამენტი. ეს ხალხი აძლევდა ხმას ივანიშვილსა და გახარიას. არც ერთი აღარ არის. სამაგიეროდ, არიან უმეცარი, შემთხვევითი ადამიანები. ზოგიერთ მათგანს ჰგონია, რომ საქართველო არ არის ევროპის საბჭოს წევრი.

***– ევროპის საბჭო ევროკავშირში ერევათ?***

– ალბათ.

***– თქვენი აზრით, ირაკლი ღარიბაშვილის მეორედ გაპრემიერება თავიდანვე დაგეგმილი იყო?***

– ივანიშვილს ღარიბაშვილი ახლოს ჰყავდა. გამოიყენებდა იმ შემთხვევისათვის, როცა მუდმივი ხელის ბიჭის სამსახური დასჭირდებოდა. ჯერ პრემიერად ნდობა არ ჰქონდა გამოცხადებული და რაზმები უკვე მოემართებოდნენ პარტიის ოფისისაკენ.

***– გახარიას პოლიტიკაში დარჩენასა და მის მიერ ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის შესაძლებლობაზე რას იტყვით?***

– რა დროს გახარიაა! მისთვის ყველაზე კარგი იქნება, თუ გაასწრებს აქედან. შეიძლება, სხვა რამეც ჩაიდინა, არ ვიცი. გავიხსენებ იმას, რაც ცნობილია – ესაა 2019 წლის ივნისში ახალგაზრდებისათვის თვალების დათხრა და არჩევნების წინ ია კერძაიას სიკვდილამდე მიყვანა.

***– ოპოზიცია გამოსვლებს აანონსებს. „ოცნების“ მომხრეებისგანაც გაისმის მობილიზაციის მოწოდებები. შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ დაპირისპირება?***

– შევძლებთ. როგორც პარტიის ოფისის შტურმის დროს ავიცილეთ თავიდან სისხლისღვრა, ისევე მშვიდობიანად გავისტუმრებთ ამ ხელისუფლებას.

# „გახარია ივანიშვილის ხათრით იყო პრემიერი“

## პეტრე მამრაძე: „სააკაშვილს მელია პარტიის თავმჯდომარედ არ უნდოდა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.**

***– ბატონო პეტრე, როგორ აფასებთ გახარიადან ღარიბაშვილის გაპრემიერებამდე პერიოდს, რომელმაც პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა?***

– გახარიას გადადგომა ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. ივანიშვილის წასვლის შემდეგ ვამბობდი, რომ სულ მალე შეიძლებოდა, გახარიაც გადამდგარიყო.

***– რატომ ფიქრობდით ასე?***

– გახარია ივანიშვილის ხათრით იყო პრემიერ-მინისტრი. ის მანამდე პოლიტიკას არასოდეს გაჰკარებია და უცხოეთში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა. ივანიშვილმა სთხოვა და თანამდებობებზე ყოფნა მოუწია. მეორე – გახარია სრულყოფილი მინისტრი და პრემიერ-მინისტრი არასოდეს ყოფილა. პრემიერის პასუხისმგებლობა უზარმაზარი იყო, ხოლო რეალური ძალაუფლება, რომელიც საშუალებას მისცემდა, ქვეყანა ისე ემართა, როგორც მას სურდა, არ ჰქონდა.

***– ზოგადად, გახარიას პრემიერობის პერიოდი როგორი იყო?***

– თვითონ გახარია დაუღალავად მუშაობდა, მაგრამ მის გადადგომას ვერ გავიგებთ, თუ გავრილოვის ღამეს არ გავიხსენებთ. თვითონ ნაცებიც კი აცხადებდნენ, კი, ვიცით, რომ მას არავითარი ბრძანებები არ გაუცია, მაგრამ შს მინისტრი ის იყო და ამიტომ პასუხს მას ვთხოვთო.

გახარია რომ გაპრემიერდა, ჩემთვის მისი უშუალო გარემოცვიდან ცნობილი გახდა, რომ თავიდან ენთუზიაზმი ჰქონდა, ძლიერ გუნდს შევკრებთ, ნამდვილ პროფესიონალებს და ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებს მოვაგვარებთო. მერე მიხვდა, რომ „ოცნებას“ ჰყავს მინისტრები, რომელთაც ხელს ვერ ახლებდა და იმ მინისტრების თანამდებობიდან გაშვება მისი ნება არ იყო.

***– ვინ არიან ის მინისტრები?***

– ვინაიდან დოკუმენტი არ მაქვს, მათი გვარები რომ დავასახელო, შეიძლება, გახარიამ პირველმა თქვას, მსგავსი რამ არ ყოფილაო. ამიტომ მათი გვარების დასახელებისაგან თავს შევიკავებ, თუმცა ამას არაერთი სანდო წყარო მეუბნებოდა.

მეორე და მთავარი – ეკონომიკის მინისტრი ქობულია რომ მოხსნეს (თვითონ არ წავიდა), მაშინ თქვა ის, რაც ჩვენ ყველამ ვიცით – საქართველოს ეკონომიკა იმართება ფარული გარიგებებით და ეს არის დაუშვებელი. ამის გამო ეკონომიკის განვითარება ფერხდებაო.

***– ანუ გახარია მელიასა და ნაცმოძრაობასთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისის გამო არ გადამდგარა?***

– ორი ფაქტორია. პირველ ფაქტორზე ვილაპარაკე, რომლის გამოც აღარ მოგინდება, რომ პრე-



მიერი იყო. ადამიანი (ბიძინა ივანიშვილი), რომლის გამოც იყავი პოლიტიკაში, წავიდა, მოიკვეთა, ამიტომ შენც უნდა წახვიდე.

მეორე – გახარიას ესმოდა, რომ ნაცები სააკაშვილის მეთაურობით ბინძურ და სისხლიან პროვოკაციას ამზადებდნენ. ნაციონალების შტაბბინაში სპეცნაზი ისე რომ შესულიყო, როგორც იყო განზრახული, სააკაშვილის ოცნება ახდებოდა – რომელიღაც ორსულს ვინ მოკლავდა (ხომ გახსოვთ სააკაშვილის სიტყვები: მთავარია, ჟურნალისტი ქალი დაიღუპოსო. მერე ამას უმატებს: ორსული სჯობსო), კაცმა არ იცის.

***– მელია სააკაშვილის კონკურენტია?***

– სააკაშვილს სულაც არ უნდოდა მელიასნაირი ფიგურა პარტიის თავმჯდომარედ. სააკაშვილს თავისი მონა-მორჩილი გრიგოლ ვაშაძე უნდოდა. მელიამ გრიგოლ ვაშაძეს აჯობა. პარტიამ ასე გადაწყვიტა, ანუ სააკაშვილს კონტროლი გაექცა. მერე ჩაყოლას ჩათრევა სჯობსო და გამოაცხადა, ნახეთ, პარტიაში როგორი დემოკრატიული არჩევნები ჩავატარეთო. დემოკრატიული კი არა, ხომ გახსოვთ, სამადაშვილი რას ლაპარაკობდა სატელეფონო საუბარში.

***– მაშინ სამადაშვილმა გაამხილა, როგორი განწყობა იყო ნაციონალების გუნდში.***

– ასე რომ, მელიათი დაწყებული, სააკაშვილის ბიძით გაგრძელებული, ყველას გეგმა სიტუაციის არევა იყო. თემურ ალასანია ოცნებობდა, მილიონ დოლარს გადავუხდი, თუ ვინმე ვინტოვკიდან ივანიშვილს მოკლავსო. გაცილებით დაბალ ფასად შეუძლიათ, სისხლიანი პროვოკაცია მოაწყონ. გახარია ფიქრობდა, რომ, დიდი ალბათობით, ადგილი ექნებოდა საშინელ სისხლიან პროვოკაციას, დიდი ალბათობით, ეს პრობლემები კონტროლიდან გავიდოდა, რასაც მსოფლიოში საშინელი რეზონანსი მოჰყვებოდა, რადგან ლობისტები დარჩნენ.

ამას უხსნიდა გახარია თავის გუნდს. იმას კი არ ეუბნებოდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მელიას დაპატიმრება. სასამართლომ გამოიტანა დაპატიმრების გადაწყვეტილება და ის უსათუოდ უნდა შესრულებულიყო.

ივანიშვილის შემდეგ ყველაზე რეიტინგული ადამიანი გახარია იყო, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. არჩევნებში ამომრჩეველმა „ოცნებას“ ხმა ჯერ ივანიშვილის გამო მისცა, შემდეგ კი იმის გამო, რომ პრემიერად ივანიშვილს გახარია ეყოლებოდა.

***– მელიას ციხეში ჩაჯდომა ნამდვილად არ უნდოდა.***

– მელიას ციხეში ჩაჯდომა პროვოკაციით უნდოდა. კაცი მიტინგზე პოლიციის მიერ გაკეთებულ ელექტრონულ სამაჯურს რომ მოიხსნის, საჯარო განცხადებას გააკეთებს და გადააგდებს, ეს არის სახელმწიფოს გამოწვევა. მსგავსი რამ მე და თქვენ რომ გავაკეთოთ, გვაპატიებენ? მელია აცხადებდა, მოძრაობის საწინააღმდეგოდ მივდივარ, მოდით და დამიჭირეთო. საშინელ დღეში ჩააგდო სახელმწიფო, არჩევანი არ დაუტოვა.

***– ნაცმოძრაობა და მისი შენაკადები მაინც აცხადებენ, რომ ცამდე მართლები და ყველაფრის მცოდნეები არიან.***

– რასაც დღემდე აცხადებდნენ, სერიოზულიც არ არის. ხომ მოისმინეთ, ბარამიძემ რა თქვა – გიორგი ბარამიძემ, რომელიც თავის დროზე ნაცების შს მინისტრი გახლდათ (ხომ გახსოვთ, ეკლესიას რომ მიადგა), განაცხადა: რა თქმა უნდა, მელია უნდა დაეპატიმრებინათ, მან ღიად დაარღვია კანონი, რომელიც დაპატიმრებას ითვალისწინებსო. ამის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა დაპატიმრების გადაწყვეტილება. მინისტრი მე რომ ვყოფილიყავი, მელიას იმ დღესვე დავაპატიმრებდიო.

***– აბა, მაშინ მელიას დაპატიმრებაში პოლიციას ხელს რატომ უშლიდნენ?***

– ბარამიძემ თქვა, იმ დღესვე რატომ არ დააპატიმრეს, რას ელოდებოდნენო.

***– პოლიციელები მელიასთან იმ დღესვე მივიდნენ, მაგრამ არ შეუშვეს.***

– საქმეც ეგ არის. რა პოლიცია ხარ, რომ არ გიშვებენ? ამიტომ „ოცნებას“ ელემენტარული ჭკუა რომ ჰქონოდა (მოგეხსენებათ, „ოცნება“ შეცდომებს უშვებს და მერე იმ შეცდომების გამოსწორებას ცდილობს), სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მაშინვე უნდა გაეკეთებინათ განცხადება, დიახ, ჩვენ აღვასრულებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამას კანონი გვავალებს. რადგან სასამართლომ ასე გადაწყვიტა, მელია უნდა დავაპატიმროთ, მაგრამ ჩვენ ამას გავაკეთებთ მხოლოდ მაშინ, როცა იქნება ისეთი სიტუაცია, როცა გვექნება სრული გარანტია, რომ გარშემომყოფნი არ დაზიანდებიან არ იქნება არათუ მსხვერპლი, არამედ ფიზიკური დაზიანებაც კი.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს მომზადებული აქვთ უბინძურესი სისხლიანი პროვოკაცია. ამიტომ დაველოდებითო.

***– ახალმა პრემიერმა ღარიბაშვილმა ნაცმოძრაობის შტაბს შულავერის კომიტეტი უწოდა. ეს სწორი შეფასებაა?***

– მე ეს შეფასება გავაკეთე ორი თვის წინ. იმ შულავერის ნამდვილი რევკომი 1937 წელს დახვრიტეს ცოლებითა და შვილებითურთ. იმ შულავერის კომიტეტის წევრები გულანთებული კომუნისტები მაინც იყვნენ, ესენი კი გულანთებული ჟულიკები, კორუმპირებულები და უბედურების ჩამდენები არიან, რომლებიც პუტინის კორუმპირებულ რეჟიმთან არიან შეკრული.





# „ნიკა მელიას დაკავებით ღრმად შეშფოთებული ვართ“

## აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი ნედ პრაისი ნიკა მელიას დაკავებას ბრიფინგზე გამოეხმაურა.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა განაცხადა, აშშ ღრმად შეშფოთებულია ნიკა მელიას დაკავების გამო.

– დღეს დავიწყებთ საქართველოთი. აშშ ღრმად შეშფოთებულია ოპოზიციის ლიდერის ნიკა მელიას და სხვა ოპოზიციონერების დაკავების გამო საქართველოში, – განაცხადა პრაისმა.

მოგვიანებით მას საკითხთან დაკავშირებით დამაზუსტებელი კითხვით მიმართეს, რაზეც სპიკერმა ასე უპასუხა:

– ჩვენ ღრმად შეშფოთებული ვართ საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებით. ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ყველა პარტიას თავშეკავებისკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ქმედება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გაამწვავოს დაძაბულობა. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, იმოქმედოს ევროატლანტიკური მისწრაფებების შესაბამისად, გააძლიეროს ვალდებულებები დემოკრატიის, ინდივიდუალური თავისუფლებისა და კანონის უზენაესობისადმი, სასამართლო და პროკურატურის სისტემების თავისუფლების უზრუნველყოფით პოლიტიკური მიკერძოებისგან.

აშშ მხარს უჭერს დემოკრატიულ, უსაფრთხო და წარმატებულ საქართველოს. ჩვენ საქართველოსთან მუშაობას განვაგრძობთ, რათა დავუჭიროთ მხარი კანონის უზენაესობასა და ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებას.

# შატილთან ავარიის საქმეზე „თრეველ ჯის“ დირექტორი და მიკროავტობუსის მეპატრონე დააკავეს



პოლიციამ 2020 წლის 20 აგვისტოს შატილთან მომხდარი ავტოკატასტროფის საქმეზე, რომლის დროსაც 17 ადამიანი დაილუპა, 2 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 2 პირი: 1986 წელს დაბადებული შ.ბ. და 1966 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. მათ ბრალი ედებათ ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებაში, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

2020 წლის 23 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბისოს მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი, 3 ადამიანი კი მძიმედ დაშავდა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ტურისტული კომპანია შპს „თრეველ ჯის“ დირექტორი – 1986 წელს დაბადებული შ.ბ. და ამავე კომპანიის მიერ დაქირავებული სამგზავრო მიკროავტობუსის მესაკუთრე – 1966 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებას, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია“.

პროკურატურამ დაკავებულებს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაცია უწყებაში გუშინ, 24 თებერვალს, გამართულ ბრიფინგზე გახდა ცნობილი.

„საქართველოს პროკურატურამ, 2020 წლის 23 აგვისტოს შატილის გზაზე მომხდარი საგზაო– სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად 17 პირის გარდაცვალების და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე დაკავებულ ტურისტული კომპანიის დირექტორს და მიკროავტობუსის მესაკუთრეს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 23 აგვისტოს ტურისტული სააგენტოს – შპს „ჩიფ თრეველ ჯორჯიას“ მიერ ორგანიზებული ტურისტული მარშრუტით, თბილისიდან შატილში მიკროავტობუსით 20 პირი გაემგზავრა. უკან დაბრუნებისას, სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის მიზეზით, მიკროავტობუსი ჯერ გზაზე მდგარ ავტომანქანას შეეჯახა, ხოლო შემდეგ 60 მეტრის სიღრმის ხევში ჩავარდა, რის შედეგადაც 17 პირი გარდაიცვალა, მათ შორის მიკროავტობუსის მძღოლი, ხოლო სამმა მოქალაქემ სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის დათვალიერდა შემთხვევის ადგილი და მიმდებარე ტერიტორიები, მოპოვებული და შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, გამოიკითხა ათეულობით პირი, ჩატარდა არაერთი ექსპერტიზა, მათ შორის სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური.

მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ მიკროავტობუსის მესაკუთრემ გ.გ-მ და ტურისტული კომპანიის დირექტორმა შ.ბ.-მ, როგორც სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მდგომარეობისთვის პასუხისმგებელმა პირებმა, ექსპლუატაციაში გაუშვეს ტექნიკურად გაუმართავი მიკროავტობუსი, რამაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია.

გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდა, რომ მიკროავტობუსის წინა სამუხრუჭე სისტემა ტექნიკურად გაუმართავი იყო.

– ასევე მიკროავტობუსის ტექნიკური მახასიათებლით დადგენილი 15 მგზავრის ნაცვლად, კუსტარულად დამონტაჟებული სავარძლებით, სატრანსპორტო საშუალებას, მძღოლის გარდა, 19 მგზავრი გადაჰყავდა,

– მგზავრთა უსაფრთხოების ღვედები დამონტაჟებული იყო მავთულებით, კუსტარულად,

– მიკროავტობუსს გავლილი არ ჰქონდა ტექნიკური ინსპექტირება. სწორედ მითითებული დარღვევებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებდა ტექნიკური ინსპექტირებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

ასევე დადგინდა, რომ ტურისტული კომპანიის დირექტორს შ.ბ.-ს და მიკროავტობუსის მესაკუთრეს გ.გ.-ს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად რომ ემოქმედათ, ტექნიკურად გაუმართავ სატრანსპორტო საშუალებას ექსპლუატაციაში არ გაუშვებდნენ და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამორიცხული იქნებოდა.

სამართალდამცველებმა შ.ბ. და გ.გ. 2020 წლის 23 თებერვალს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

პროკურატურის მიერ მათ წარედგინათ ბრალდება – ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებისთვის, რამაც 17 პირის სიცოცხლის მოსპობა და 3 პირის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურა უსამძიმრებს გარდაცვლილთა ოჯახებს, თანაგრძნობას გამოხატავს დაზარალებულების მიმართ და აცხადებს, რომ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად იქნება მიმართული.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ორივე ბრალდებულის სამეწარმეო საქმიანობის კანონიერების საკითხის შესწავლაც მოხდება“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„თრეველ ჯის“ დირექტორი შალვა ბოლოთაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულის ადვოკატმა სამშე მჟავანაძემ განუცხადა.

როგორც ადვოკატი განმარტავს, საქმესთან დაკავშირებით მას შემდეგ ისაუბრებს დეტალურად, რაც საქმის მასალებს გაეცნობა.

# საია: „პოლიციამ ენმ-ს ოფისში ქიმიური საშუალებები კანონის დარღვევით გამოიყენა“




საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 23 თებერვალს ნაციონალური მოძრაობის ოფისში განვითარებულ მოვლენებსა და ნიკა მელიას დაკავების სპეცოპერაციაზე შეფასებას აქვეყნებს.

ორგანიზაციის განცხადებით, პოლიციამ სპეციალური ქიმიური საშუალებები კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით გამოიყენა.

საია წერს, რომ ქიმიური სპეციალური საშუალებები (მათ შორის, წიწაკის გაზი) გამოიყენება ძალადობრივი წინააღმდეგობის უგულებელსაყოფად, როდესაც არსებობს დაზიანების მყისიერი და გარდაუვალი საფრთხე. ორგანიზაცია წერს, რომ მათი გამოყენება პასიური წინააღმდეგობის დროს დაუშვებელია, ასევე, დახურულ სივრცეებში, სადაც არ არის ადეკვატური ვენტილაცია ან უსაფრთხო გასასვლელი.

„საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში შეკრებილი მოქალაქეები არ მიმართავდნენ ძალადობრივ ქმედებებს. ისინი იმყოფებოდნენ დახურულ სივრცეში, აგრეთვე, შეუძლებელი იყო შენობის უსაფრთხო და მყისიერი დატოვება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ შენობაში მყოფი ერთ-ერთი პირი ცდილობდა ფანჯრის ჩამტვრევას სავარაუდოდ სპეციალური ქიმიური საშუალების გამოყენების შედეგად წარმოშობილი უჰაერობის უგულებელსაყოფად.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პოლიციის მიერ სპეციალური ქიმიური საშუალების გამოყენება მოხდა კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით“, – წერია განცხადებაში.

გარდა ამისა, საია წერს, რომ ოფისიდან კომპიუტერული ტექნიკის ამოღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მკაცრად რეგულირებად საგამოძიებო მოქმედებას წარმოადგენს, რომლის ჩატარების დროსაც ყველა შემთხვევაში აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის არსებობა.

„მოცემულ შემთხვევაში, რადგან საქმე ეხება ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ცენტრალურ ოფისში არსებული კომპიუტერული სისტემიდან ისეთი მონაცემების ამოღებას, რომელიც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს პოლიტიკური პარტიის საქმიანობასთან, მნიშვნელოვანია, შესაბამისმა ორგანოებმა საზოგადოებას განუმარტონ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დასაბუთებული ლეგიტიმური მიზანი“, – წერს ორგანიზაცია.

# სამეგრელოში ხე–ტყის უკანონო ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოვლინდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სამეგრელოში ხე-ტყის უკანონო მოპოვებისა და ტრანსპორტირების ორი ფაქტი გამოავლინეს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში, მოქალაქე წაბლის სახეობის 37 ერთეული დაუფირნიშებელი მრგვალი ხე-ტყის (მორი) ტრანსპორტირებას შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ახდენდა.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე ახდენდა მოქალაქე 19 ერთეული წაბლის სახეობისა და 2 ერთეული ცაცხვის სახეობის მრგვალი ხე-ტყის (მორი) ტრანსპორტირებას. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანები და მათზე განთავსებული 58 ერთეული მორი დალუქეს. ვინაიდან ზემოაღნიშნული ორივე ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებაში გადაიგზავნება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# თელავში 69 წლის ანზორ პეტროსიანი სარწყავ არხში გარდაცვლილი იპოვეს




თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ფშაველში მცხოვრები 69 წლის მამაკაცი, რომელსაც რამდენიმე დღეა, აქტიურად ეძებდნენ, გარდაცვლილი იპოვეს.

ანზორ პეტროსიანი სამართალდამცველებმა და სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა სარწყავ არხში 24 თებერვალს ნახეს.

გამოძიების ფარგლებში ცხედარს ექსპერტიზა გურჯაანის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ჩაუტარდა.

პენსიონერი ბოლოს 15 თებერვალს ნახეს.

მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

# საბაჟო საზღვარზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს ერთი მოქალაქე დააკავეს.



„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გერმანიაში შეძენილი მსუბუქი ავტომანქანის სალონში სპეციალურად მოწყობილ სამალავებში, განათავსა სხვადასხვა სახის საქონელი, მათ შორის, ძვირადღირებული საათები, ტყავის ნაწარმი, ბიჟუტერია და სხვა.

დანაშაულში მხილებულმა პირმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ავტომანქანა ბათუმის პორტის გავლით შემოიყვანა საქართველოში და არ დაადეკლარირა მასში არსებული საქონელი.

ამ ეტაპზე მიღებული ექსპერტიზის დასკვნით, ავტომანქანაში აღმოჩენილი საათების საბაჟო ღირებულება შეადგენს 11 745 ლარს, ხოლო დანარჩენ საქონელზე დანიშნულია ექსპერტიზა.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რუსთავში ინფინიტი რამდენიმეჯერ ამოტრიალდა

## 3 ადამიანი დაშავდა

რუსთავში, მშვიდობის ქუჩაზე, 23 თებერვალს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

ინფინიტის მარკის ავტომობილის მძღოლმა, სავარაუდოდ, საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენიმეჯერ ამოტრიალდა.

შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა.

ერთი 25 წლის დაშავებული მამაკაცი ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაწესებულების ანესთეზიოლოგ– რეანიმატოლოგ გიგა ნერგაძის თქმით, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა და ის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული, ხოლო ორი დაშავებული მამაკაცი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა. როგორც „ინფო რუსთავს“ კლინიკის გადაუდებელი დახმარების განყოფილების მორიგე ექიმმა ლალი ღირსიაშვილმა განუცხადა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ფასდება, როგორც საშუალო სიმძიმის.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.



## აშშ-ის სენატი კაპიტოლიუმზე თავდასხმას იძიებს



აშშ-ის სენატი 6 იანვარს კაპიტოლიუმზე თავდასხმის საქმეს იძიებს. სენატის კომისიის წინაშე წარდგნენ კონგრესმენი პოლ ირვინგი, სენატორი მაიკ სტენჯერი, კაპიტოლიუმის პოლიციის უფროსი სტივენ სენდი.

გამოძიების ყურადღება ერთმა საინტერესო ფაქტმა მიიპყრო: შტურმის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე კაპიტოლიუმის უსაფრთხოების სისტემა მწყობრიდან გამოვიდა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. ვიღაც-ვიღაცებს სურდათ, კაპიტოლიუმთან სისხლი დაღვრილიყო.

## გერმანიაში სირიის საიდუმლო აგენტს პატიმრობა მიუსაჯეს



გერმანიის სასამართლომ სირიის საიდუმლო სამსახურის ყოფილ აგენტს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ხელშეწყობისთვის 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

44 წლის მამაკაცს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან მონაწილეობა მიიღო 2011 წელს სირიის ქალაქ დუმაში ჩატარებული ანტისამთავრობო დემონსტრაციების შემდეგ ადამიანების დაკავებასა და იზოლატორში წაყვანაში, სადაც ისინი აწამეს.

გერმანიის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ კობლენცში გამოტანილი განაჩენი პირველია, როდესაც სირიის გარეთ არსებულმა სასამართლომ ბაშარ ასადის რეჟიმის მიერ განხორციელებული წამების ფაქტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. უფლებადამცველები იმედოვნებენ, რომ ეს გადაწყვეტილება სხვა შემთხვევებისთვის პრეცედენტი გახდება.

## საბერძნეთი ევროკავშირს ვაქცინის „პასპორტების“ მიღებისკენ მოუწოდებს




საბერძნეთი ევროკავშირს კოვიდ 19-ის ვაქცინის „პასპორტების“ მიღებისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ საბერძნეთის ტურიზმის მინისტრმა ჰარი თეოჰარისმა განაცხადა.

მისი თქმით, ვაქცინაციის სერტიფიკატების დანერგვა ევროკავშირისთვის უახლოესი პრიორიტეტი უნდა იყოს იმისთვის, რომ ტურიზმი გაიხსნას.

– ტურიზმისა და ეკონომიკის გახსნის მოსამზადებლად კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ბევრად უფრო სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ევროკავშირმა დაუყოვნებლად უნდა მიიღოს ვაქცინაციის სერტიფიკატი. ხალხმა რაც შეიძლება მალე უნდა იცოდეს, შეძლებენ თუ არა ზაფხულში შვებულებაში წასვლას, – განაცხადა მინისტრმა.

ციფრული სერტიფიკატების გაცემა საბერძნეთის ვაქცინირებულ მოქალაქეებზე უკვე ხორციელდება, თუმცა საბერძნეთში შემსვლელთათვის მისი ფლობა სავალდებულო არ არის.

– ჩვენი მიზანია, საბერძნეთში შესვლისას ხელახალი ტესტირებისგან გავათავისუფლოთ ისინი, ვისაც იმუნიტეტი უკვე აქვს, – განაცხადა ჰარი თეოჰარისმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



## ველურმა კატამ გეპარდი შეაშინა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტებმა ვიდეოზე აღბეჭდეს, თუ როგორ მოახერხა სერვალმა (ბუჩქნარის კატა) გეპარდის თავდასხმის მოგერიება. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიში პარკის არხზე იქნა განთავსებული.

აღნიშნული შემთხვევა ტურისტების, 24 წლის მაიკ სოლომონისა და მისი 23 წლის თანამგზავრის გავინ ნიუფილდის თვალწინ მოხდა. ისინი ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ, როდესაც მანქანის სიახლოვეს სერვალი, ოთხი გეპარდი და კამეჩი შენიშნეს. წყვილის მიერ გადაღებულ ვიდეოზე გარეული კატა გზის პირას საბრძოლო პოზაში დგას და ცდილობს, მეტოქეები დააფრთხოს. ამ დროს კი ერთ-ერთი გეპარდი მისკენ ნელ-ნელა მიიწევს.

განუწყვეტელი ღრენის თანხლებით სერვალი ნელ-ნელა მიწაზე ეშვება და მთელი ყურადღება მოახლოებულ მეტოქეზე გადააქვს. გეპარდი ფრთხილად ადევნებს თვალს ველური კატის მოქმედებას და მასთან მიახლოებას აგრძელებს. როდესაც ის უკვე მეტისმეტად ახლოს აღმოჩნდა, სერვალმა დაისისინა და განზე გახტა. ამით მან მოწინააღმდეგე შეაშინა და გეპარდმა გაცლა ამჯობინა.

## მამაკაცმა საჭმელზე უარი თქვა და მხოლოდ ლუდს სვამდა



ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ ნიუთაუნის მკვიდრმა დელ ჰოლიმ, რომელიც დიდი მარხვის დროს 46 დღის განმავლობაში მხოლოდ ლუდს მიირთმევდა, გადაწყვიტა, ეს გამოცდილება გაიმეოროს.

მარხვის დროს ჰოლი ორგანიზებას გაუკეთებს თანხის შეგროვებას იმ ადგილობრივი დაწესებულებების დასახმარებლად, რომლებიც კოვიდ-19-ს პანდემიის გამო დაზარალდნენ. მამაკაცი უკვე სამი წელია, მუდმივად იცავს დიდ მარხვას. ამ ჯერზე მას იმედი აქვს, რომ კრაუდფანდინგური ვებგვერდის დახმარებით მინიმუმ 10 ათასი დოლარის შეგროვებას შეძლებს. გასულ წელს მან მარხვა 6 მარტს დაიწყო და 21 აპრილს დაასრულა. მას ასეთი სახით მარხვის დაცვისკენ მიუნხენის მახლობლად მდებარე მონასტერიეს ბერების მაგალითმა უბიძგა. შუა საუკუნეებში ისინი დიდი მარხვის დროს საკვებად იყენებდნენ მხოლოდ ლუდს, რომელსაც თავადვე ამზადებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჰოლი, ლუდის გარდა, ზოგჯერ სვამდა უშაქრო ჩაის, შავ ყავასა და გაზიან წყალს, ასევე იღებდა მულტივიტამინებს. დღეში ის ორიდან ხუთ ბოთლამდე ლუდს სვამდა და, მისი მტკიცებით, არც შიმშილს გრძნობდა და არც თვრებოდა. გასულ წელს ასეთი მარხვის წყალობით მან წონაში 20 კილოგრამი დაიკლო.



## ქალმა ლითონმაძიებლის წყალობით ვიკინგების განძს მიაგნო

ბრიტანეთის კუნძულ მენზე ქალმა, რომელიც განძის მაძიებლობითაა გატაცებული, ვიკინგების განძს მიაგნო.

კეტ ჯაილსმა განძს 2020 წლის ბოლოს მიაგნო, როდესაც კერძო მამულს ლითონმაძიებელი მოწყობილობით ათვალიერებდა. მან მიაგნო და მიწიდან ამოთხარა ოქროს სამაჯური, ვერცხლის მსხვილი გულსაბნევი, ვერცხლის ხელსაფარი და სხვა სამკაულები. ქალი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანს გადააწყდა და კუნძულ მენის ეროვნული მემკვიდრეობის მუზეუმს დაუკავშირდა.

სპეციალისტების აზრით, აღნიშნული განძი 950 წელს იქნა გადამალული.

– სამაჯური განსაკუთრებულად იშვიათი ნივთია, – ამტკიცებს მუზეუმის თანამშრომელი ელისონ ფოქსი, – ვიკინგების დროს იშვიათად ამზადებდნენ ნივთებს ოქროსგან. ვაჭრობისა და სიმდიდრის დემონსტრირებისთვის გაცილებით ხშირად ვერცხლი გამოიყენებოდა. არსებობს შეფასებები, რომელთა მიხედვით ოქრო ვერცხლზე ათჯერ ძვირად ფასობდა. ამიტომ ასეთი სამაჯური 900 ვერცხლის მონეტის ეკვივალენტს წარმოადგენდა.

მიმდინარე წლის თებერვალში ჯაილსის მიერ ნაპოვნი სამკაულები ოფიციალურად აღიარეს განძად. ის შესანახად კუნძულ მენის ეროვნული მემკვიდრეობის მუზეუმს გადაეცემა, ხოლო მიწის მფლობელსა და განძის მპოვნელს ჯილდოს გადასცემენ. ჯილდოს განსასაზღვრად ნაპოვნი სამკაულების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა მოხდება.

## ტუალეტში დასაჯდომის უკან დამალულმა დათვმა ქალს დუნდულაზე უკბინა



ამერიკის ალიასკას შტატში დათვი ტუალეტში დაიმალა და იქ შესულ ქალს უკბინა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც შენონ სტივენსმა, ქალაქ ჰეინსიდან, გადაწყვიტა დასვენების დღეები ქალაქგარეთ იურტაში გაეტარებინა, რომელიც ტბა ჩალკატის სანაპიროზე მდებარეობს. საღამოს ქალი გარეთ მდებარე ტუალეტში შევიდა.

– შევედი, საჯდომზე დავჯექი და მაშინვე ვიღაცამ დუნდულაზე მიკბინა, – ამტკიცებს ქალი, – მოულოდნელობისა და ტკივილისგან წამოვხტი და შევყვირე.

ხმაურზე მისმა ძმამ ერიკ სტივენსმა მიირბინა. მან ფანარი აანთო, საჯდომს თავსახური ახადა და შიგნით ჩაიხედა.

– იქიდან კი საჯდომის დონედან დაახლოებით ხუთი სანტიმეტრით ქვევიდან დათვის დიდი თავი შემომყურებდა, – ყვება მამაკაცი. მან მაშინვე დაახურა სახურავი საჯდომს, დასთან ერთად იურტას შეაფარა თავი და იქიდან დილამდე აღარ გამოსულან.

მართალია ქალის ჭრილობა სახიფათო არ ყოფილა, თუმცა ის მაინც დაამუშავეს და შეუხვიეს. როდესაც მეორე დღეს ტუალეტი შეამოწმეს, მტაცებელი ცხოველი იქ აღარ იყო. ბიოლოგის კარლ კოხის შეფასებით, რომელმაც შემთხვევის ადგილი დაათვალიერა, ქალს თავს შავი დათვი დაესხა, რომელიც ასევე ბარიბალის სახელითაცაა ცნობილი.

## პატიმრობიდან განთავისუფლებულმა მამაკაცმა 20 წუთში მანქანა გაიტაცა




ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპოკანში სასჯელმოხდილმა მამაკაცმა, ციხიდან განთავისუფლებიდან 20 წუთში, გოგონას მანქანა წაართვა.

შაბათს, ადგილობრივი დროით, დაახლოებით 22:08 საათზე მარკუს გოდმენმა საპატიმრო დატოვა. განთავისუფლებიდან 20 წუთში ის 16 წლის გოგონასთან მივიდა და პისტოლეტის მუქარით მისთვის ავტომობილის გადაცემა მოსთხოვა.

გოდმენი მანქანის საჭეს მიუჯდა და წავიდა. დაზარალებულმა გოგონამ მომხდარის თაობაზე პოლიციას აცნობა და მამაკაცზე ისევ ძებნა გამოცხადდა.

ორ საათში პატრულმა ავტომობილს და ეჭვმიტანილს მიაგნო. გოდმენს ძარცვის ბრალდება წაუყენეს და ციხეში დააბრუნეს.

## ტალახში ჩაფლული ქალები მაშველებმა გადაარჩინეს



ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს მკვიდრი ორი ქალბატონი მდინარის სანაპიროზე ტალახში ჩაეფლო და დამოუკიდებლად იქიდან თავის დაღწევა ვეღარ შეძლეს. მათი გადარჩენა მაშველებმა მოახერხეს.

საგრაფოს სამაშველო სამსახურის წარმომადგენელმა კარლ ჰასლემმა ტვიტერში გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც ჩანს ორი ქალი, რომლებიც მდინარის ნაპირზე მუხლებამდე ტალახში დგანან. ისინი სანაპიროზე სეირნობდნენ, როდესაც ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ტალახიდან დაუხმარებლად თავის დაღწევა ინგლისელებმა ვერ შეძლეს და მათ დასახმარებლად მაშველები მივიდნენ. მათთან მისაღწევად მაშველებმა პლასტიკატის სპეციალური მოწყობილობა გამოიყენეს. სამაშველო ოპერაციას მრავალი გამვლელი ადევნებდა თვალს.

ჰასლემის თქმით, გადარჩენილი ქალები კარგ განწყობაზე იმყოფებოდნენ, რაიმე სახის დაზიანებები არ მიუღიათ და მაშველებს გულითადი მადლობა გადაუხადეს.

## მეთევზემ უზარმაზარი ქორჭილა დაიჭირა



მეთევზემ ამერიკის ფლორიდის შტატიდან უზარმაზარი ზომის ვარშავური შავი ქორჭილა დაიჭირა. თევზის სიგრძე ადამიანის სიგრძეს აღემატება.

ჯოშუა იორგენსენი და კაპიტანი ჯეისონ ბოილი 2019 წლიდან ცდილობდნენ უზარმაზარი თევზის დაჭერას, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ახლახან მიაღწიეს. ქორჭილა იმ დროს გაება, როდესაც ისინი მექსიკის ყურეში, ქალაქ ფორტ-მაიერსიდან 225 კილომეტრში თევზაობდნენ.

იქამდე მისაღწევად მათ ოთხი საათი დასჭირდათ. მეთევზეებმა წყალში გადააგდეს ანკესები, რომლებზეც სატყუარად ზოლიანი ლაცეროსი იყო წამოგებული. ხუთ წუთში თევზი სატყუარას მიეტანა. მამაკაცებს თევზის წყლიდან ამოსაყვანად 20 წუთამდე ბრძოლა დასჭირდათ.

დაჭერილი ქორჭილას სიგრძე ორ მეტრს აღემატება. მისი ზურგის ფარფლების სიგრძემ – 60 სანტიმეტრი, ხოლო წონამ 133 კილოგრამი შეადგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გოგი გეგეჭკორი 98 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

„საბრალდებო დასკვნა“ არაერთხელ მინახავს რუსთაველის თეატრის სცენაზე, მრავალ შეცვლასა და ახალი მსახიობის „შეგდებას“ მოვსწრებივარ, მინახავს უკვე „დაბერებული“ და „დაშლილიც“ ეს სპექტაკლი, თუმცა არ მახსენდება „დაბერებულ-მობეზრებული“ გოგი გეგეჭკორი – ტიგრანა. ის ყოველთვის თამაშობდა ისეთი შემართებითა და გატაცებით, რომ სპექტაკლსაც გაყურებინებდა და აღგაფრთოვანებდა კიდეც.

ერთი სპექტაკლის აფიშაზე – „ძველი სამრეკლო“ – მისი გვარი სამჯერ ეწერა – როგორც პიესის თანაავტორი, როგორც მთავარი როლის პანტე ჯაავას შემსრულებელი და როგორც დამდგმელი რეჟისორი. არც მანამდე და არც მას შემდეგ ბატონ გოგის თავი რეჟისურაში არ მოუსინჯავს. სხვა მსახიობთა ბიოგრაფიაშიც ყოფილა მსგავსი შემთხვევები, როცა ისინი სპექტაკლს დადგამდნენ ხოლმე, თუმცა, გამონაკლის შემთხვევათა გარდა, ეს გამოწვეული იყო ხოლმე ამა თუ იმ გარეჟისორებული არტისტის დაუსაქმებლობითა და შემოქმედებითი პაუზის რეალიზების სურვილით, რადგან, როგორც წესი, ასეთ დადგმებში რეჟისორი თავად ასრულებდა ხოლმე ერთ-ერთ მთავარ როლს.

გოგი გეგეჭკორმა ისე გაიარა შემოქმედებითი ცხოვრება, რომ არათუ დაუკავებლობის პრობლემა არ ჰქონია, არამედ რეჟისორები ერთმანეთს ელოდებოდნენ, რათა მასთან მუშაობის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ვინაიდან ეს ისტორია ნაკლებად ცნობილია, თუ როგორ აღმოჩნდა ბატონი გოგი რეჟისორის ამპლუაში, შევეცდები, გიამბოთ. ამბის დეტალების სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, თუმცა პირველწყაროს მონათხრობს ვენდობი. პირველწყარო კი ქალბატონი ლილი იოსელიანი გახლავთ.

ქალბატონმა ლილიმ რუსთაველის თეატრში დაიწყო მუშაობა ნოდარ წულეისკირის მოთხრობაზე „დავით აღმაშენებლის ქვა“. ბატონი გოგი პანტეს თამაშობდა, ხოლო ავთო მახარაძე – სამუზეუმო გაერთიანების უფროსს. სპექტაკლი საკმაოდ სკანდალური გამოვიდა, გარდა იმისა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი – სამოქალაქო სათქმელით. თუმცა, მოხდა ისე, რომ არც ნოდარ წულეისკირს სწყალობდნენ კომუნისტები, არც ჩემი პედაგოგი ეპიტნავებოდათ დიდად, ხოლო ავთო მახარაძის პერსონაჟის გადაწყვეტა საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა პარტიულთათვის.

მოითხოვეს სპექტაკლის გადაკეთება, განსაკუთრებით – ავთო მახარაძის პერსონაჟის. ქალბატონმა ლილიმ უარი თქვა ცვლილებებზე. არადა, უმნიშვნელოვანესი იყო, წულეისკირის ნააზრევი მაყურებლამდე მისულიყო. ბატონი გოგისთვისაც პანტე ბოლო პერიოდის როლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო.

ლილის უარის შემდეგ წავიდნენ დათმობაზე, რომ ნაწარმოებიც გადაერჩინათ და ბატონი გოგის ნამუშევარიც. ახლა უკვე ბატონი გოგის დათანხმება გართულდა, თუმცა ბოლოს დაარწმუნეს, რომ თუ ცვლილებებს განახორციელებდნენ, გადარჩებოდა ერთ-ერთი უმთავრესი – ეს ნაწარმოები მივიდოდა მაყურებლამდე. ყოველგვარი ურაპატრიოტულობის გარეშე ძალიან მნიშვნელოვანი სათქმელის მქონე სპექტაკლი გამოვიდა. ბატონ გოგისთან ერთად სცენაზე დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ზეინაბ ბოცვაძემ, დათო კვირცხალიამ, ლია გუდაძემ, გიგოლა თალაკვაძემ... ავთო მახარაძის ნაცვლად სპექტაკლში ბადრი კობახიძე თამაშობდა.

პრემიერამდე რამდენიმე დღით ადრე ნოდარ წულეისკირმა ასეთი „მეგრული“ ნომერი მოუფიქრა პარტიას. სპექტაკლს „დავით აღმაშენებლის ქვა“ კი არა, „ძველი სამრეკლო“ დაარქვა, ხოლო ბატონ გოგის შესთავაზა, თანაავტორად დაწერილიყო და ამით პარტმუშაკებს გააცურებდნენ, თითქოს სხვა ნაწარმოებზე იყო საუბარი. ასე იყო თუ ისე, მაყურებლამდე ამ სპექტაკლმა მიატანა და საკმაოდ დიდხანს, მრავალი სეზონის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან.

მე, როგორც ბატონი გოგის ძმის მერაბ გეგეჭკორის ოჯახის ახლობელსა და ნათელ-მირონს, ბუნებრივია, ბატონ გოგისთანაც მქონდა ძალიან ახლო ურთიერთობა და ერთხელაც შევბედე ამ თემაზე საუბარი. ასე მიპასუხა: ჰო, რთული დღეები გადავიტანეთ, მაგრამ მთავარი სათქმელი სპექტაკლის, რომ ფულზე ყველაფერი არ იყიდება, ეს იდეა მინდოდა მიმეწოდებინა მაყურებლისთვისო. ესეც არაჩვეულებრივად იყო მიწოდებული და სხვა ბევრი მნიშვნელოვანი თემაც...

მსახიობი – მოქალაქეობრივი სათქმელით. ხშირად გამიგონია ხოლმე ეს ფრაზა სხვადასხვა მსახიობთან მიმართებით. სწორედ გოგი გეგეჭკორზე შეიძლებოდა თავისუფლად ამის თქმა. დიახ, ის იყო მაღალი რანგის პროფესიონალი საკუთარი მოქალაქეობრივი და პიროვნული სათქმელით. ბატონი გოგი 98 წლის შესრულებოდა!

პ.ს. ისე, იმ გამოსათხოვარი იუბილედან ზუსტად 16 დღე იცოცხლა და 11 მარტს, გამთენიისას, აღესრულა დიდებული არტისტი და შემოქმედი. დილითვე მივედი, როგორც ოჯახის ახლობელი სამძიმარზე. ქალბატონმა ნათელამ სამძიმარი მიიღო, მერე კი თავისი ჩვეული გურული ენამოსწრებულობით მითხრა – მე მგონი, „რუსთავი 2“-მა გოგის გარდაცვალება ჩემზე ადრე გაიგოო. ამ ერთი წინადადებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება „სკანდალური ჟურნალისტიკისადმი“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

# ჟირუს სუპერგოლი და კოშმარი რომში

**ატლეტიკო-ჩელსი 0:1**

0:1 ჟირუ (71)

**ატლეტიკო:** ობლაკი, მ.ლორენტე, სავიჩი, ფელიპე, ერმოსო (ვიტოლო 84), კორეა (დემბელე 82), კოკე, საული (ტორეირა 82), ლემარი, ჟოაო ფელიქსი (ლოდი 82), სუარესი

**ჩელსი:** მენდი, ასპილიკუეტა, კრისტიანსენი, რიუდიგერი, ჰადსონ-ოდოი (ჯეიმსი 80), ჟორჟინიო, კოვაჩიჩი (ზიეში 74), ალონსო, მაუნტი (კანტე 74), ვერნერი (პულიშიჩი 87), ჟირუ (ჰავერცი 87)

ტომას ტუხელმა პირწმინდად აჯობა დიეგო სიმეონეს. მართალია, ატლეტიკო მასპინძლად ითვლებოდა, მაგრამ – მხოლოდ ფორმალურად, რადგან თამაში რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შედგა. აქედან გამომდინარე, მასპინძლის სტატუსი დაიკარგა. თუმცა, საპირისპიროდ, ჩელსის უკვე აქვს სტუმრად გატანილი გოლის უპირატესობა.

ატლეტიკოს მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ დაურტყამს კარის ჩარჩოში. ერთადერთი სახიფათო მომენტი მაშინ შეიქმნა, როდესაც ლონდონელებმა ბურთი ცუდად დაუბრუნეს მეკარეს, მანაც ვერ ამოიტანა, მაგრამ მადრიდელებმაც ვერ დაარტყეს ცარიელ კარში. მეტი ატლეტიკოს არაფერი უჩვენებია. ბურთიც სრულად დაუთმეს ჩელსის, ძირითადად თავს იცავდნენ, რათა ჩვეული კონტრშეტევებით ეთამაშათ, მაგრამ...

ჩელსი ბურთს კი აკონტროლებდა, მაგრამ ხიფათის შექმნა მათაც უჭირდათ. ატლეტიკო ცარიელ ზონებს არ ტოვებდა. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ თამაში ნულოვანი ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ აქ გამოჩნდა ოლივიე ჟირუ, რომელმაც არაფრისგან გოლი-შედევრი შექმნა. ფრანგი ერთ მომენტში სიტუაციას არ გამოეთიშა, დაინახა ერმოსოს ცუდად აგდებული ბურთი, თავადაც აფრინდა ჰაერში და „მაკრატელა“ დარტყმით მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

ჩელსი საშინაო მატჩს უპირატესობით ხვდება, მაგრამ ატლეტიკოს ჩამოწერაც ნაადრევია. სიმეონეს გუნდმა იცის სტუმრად თამაში, მაგრამ, თუ ისე ესტუმრა ჩელსის, როგორც დაუხვდა, ძალიან გაუჭირდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ოლივიე ჟირუ

ძალიან კარგი მატჩი ჩაატარა ფრანგმა თავდამსხმელმა. ყოველთვის იქ იყო, სადაც გუნდს უჭირდა, დარბოდა ყველა უიმედო ბურთზე და დაუფასდა კიდეც.

**დიეგო სიმეონე:**

– ძალიან რთული მატჩი იყო, გოლების გატანის მინიმალური შანსებით. შემიძლია დავადასტურო, რომ ეს იყო თანაბარი თამაში. დაცვაში ძალიან კარგად ვთამაშობდით. მეორე ტაიმიც თანაბარი იყო, ახლა ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება, რომელიც ასევე მძიმე და რთული იქნება. კოვიდის გამო რამდენიმე ფეხბურთელი არცთუ დიდი ხნის წინ დაგვიბრუნდა, უნდა გავაგრძელოთ შრომა. მეორე მატჩამდე ბევრი თამაშია – დღეს მეტოქეზე მეტი ზეწოლა იყო საჭირო. მათ ხომ ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავთ. ახლა საჭიროა შრომა, შრომა და შრომა.

**ტომას ტუხელი:**

– სუპერბედნიერი ვარ. მაგრად ვითამაშეთ და 96 წუთი კონცენტრირებული ვიყავით თამაშზე. მომენტის შექმნა ძალიან რთული იყო, მაგრამ გუნდის მონდომებით ვამაყობ. დღეს ჟირუს დღე იყო. გამიკვირდა მისგან ასეთი გოლი? არა, ჟირუ ფიზიკურად და მენტალურად ძალიან მაგარი ფეხბურთელია. მისმა გოლმა ყველა გაგვაბედნიერა.

**ლაციო-ბაიერნი 1:4**

0:1 ლევანდოვსკი (9), 0:2 მუსიალა (24), 0:3 სანე (42), 0:4 აჩერბი (47სკ), 1:4 კორეა (49)

**ლაციო:** რეინა, პატრიკი (ჰუდტი 53), აჩერბი, მუსაკიო (ლულიჩი 31), ლაძარი, მილინკოვიჩ-სავიჩი (კატალდი 81), ლუკას ლეივა (ესკალანტე 53), ლუის ალბერტო (აკპა-აკპრო 81), მარუშიჩი, კორეა, იმობილე

**ბაიერნი:** ნოიერი, ზულე, ბოატენგი, ალაბა, დევისი, კიმიხი, გორეტცკა (ხავი მარტინესი 63), სანე (სარი 90), მუსიალა (ჩუპო-მოტინგი 90),



კომანი (ერნანდესი 75), ლევანდოვსკი

რომის ლაციომ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მიუნხენის ბაიერნს უმასპინძლა და მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით, 1:4 დათმო.

ვინც რომში სანახაობას ელოდა, გაწბილებულია, რადგან მატჩი ბაიერნის სრული დომინაციით წარიმართა. უკვე მეშვიდე წუთზე პეპე რეინამ იხსნა ლაციო, მაგრამ მალევე რობერტ ლევანდოვსკისგან მაინც გაუშვა და მეცხრე წუთზე ბავარიელები დაწინაურდნენ. პოლონელისთვის ეს ჩემპიონთა ლიგაზე 72-ე გოლი იყო და ესპანელ რაულს საბოლოოდ გადაასწრო. მასზე წინ მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუ და ლეო მესი არიან.

როდესაც ბაიერნი საკუთარ უპირატესობას გრძნობს, ძალიან მშვიდად თამაშობს და ყველაფერი გამოსდის. ფლიკის შეგირდებმა ძლიერ პრესინგს მიმართეს და თითქმის ნახევარი საათი ლაციო ცეცხლს ეთამაშებოდა, ვერ იწყებდა შეტევებს და მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდა.

ცხადია, ამას ბაიერნი არავის პატიობს და 24-ე წუთზე ჯამალ მუსიალამ ფორა გაზარდა. არადა, მასიალა 17 წლის არის და მისი სასტარტოში ხილვა მოულოდნელობა იყო.

სიმონე ინძაგიმ მალევე გააკეთა ცვლილება და მოედანზე სცენარის შეცვლა ცადა. ლაციოს ეს თითქოს გამოუვიდა, მაგრამ უხეში შეცდომაც მიაყოლეს და ლეროი სანემ პირველივე მატჩში გადაწყვიტა მეოთხედფინალისტის ვინაობა.

ინძაგის გუნდს ვერც შესვენებამ უშველა, მეტიც, ანტრაქტის შემდეგ გოლი საკუთარ კარში შეაგდეს – 0:4. მალევე ანხელ კორეამ ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ სულ ეს იყო...

ნაკლებად სავარაუდოა, რომ „ალიანს არენაზე“ ლაციომ რამე გამოასწოროს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ლეროი სანე

სიტის ყოფილ ფეხბურთელს ბაიერნში ადაპტაცია უჭირს, მაგრამ ბოლო 2 მატჩია, ჩვეულად აბურთავდა და საკუთარი თამაში დაიჭირა, რომში გოლიც გაიტანა და აჩერბისაც საკუთარ კარში შეაგდებინა.

**სიმონე ინძაგი:**

– ვიცოდით მატჩისა და მეტოქის მნიშვნელობა, მაგრამ მათ საქმე უფრო გავუადვილეთ. 3 გოლის გატანაში ჩვენ დავეხმარეთ და ეს არის ყველაზე დიდი იმედგაცრუება. ბაიერნი მსოფლიოს ჩემპიონია, ალბათ, მსოფლიოში საუკეთესო გუნდიც და ნამდვილად არ სჭირდებოდათ ჩვენი შეცდომები, რომ მათთვის საქმე უფრო გაგვეადვილებინა. ცუდი საღამო გვქონდა, მაგრამ წინ უნდა ვიყუროთ და ეს თამაში ზრდის პროცესში მნიშვნელოვანი იქნება. მიუხედავად ყველაფრისა, გუნდი ცდილობდა თამაშში დარჩენას, გვქონდა კარგი ეპიზოდებიც, მაგრამ პირველი გოლის შემდეგ გუნდი ცოტათი შეშინდა და ველარ დავბრუნდით. ჯერჯერობით გარკვეული თამაშებისთვის მზად არ ვართ.

**ჰანს-დიტერ ფლიკი:**

– მოლოდინი ყველამ გაამართლა. ჩვენ ძალიან კარგი გუნდური თამაში ვაჩვენეთ, მეტოქეზე თავიდანვე ზეწოლა მოვახდინეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ. გამოვიყენეთ მომენტები და ძალიან ბედნიერები ვართ. ჩემპიონთა ლიგა განსაკუთრებული ტურნირია, პირველ რიგში – ჩვენი ფეხბურთელებისთვის. თავიდანვე გვინდოდა აქტიურობა. მეოთხედფინალში გასვლა გვინდა და ამ გამარჯვებით ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ წინ კიდევ ერთი თამაშია.

# უკრაინა წიტაიშვილს საქართველოზე უარს სთავაზობს

ბოლო დროს გავრცელებული ხმებით, გიორგი წიტაიშვილი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს. ამ ფაქტს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა უკრაინაშიც, რომლის მოქალაქეც წიტაიშვილია.



იქაური მედია ჩვენს „მამლუქს“ საქართველოს ეროვნული გუნდის ფორმით თამაშს არ ურჩევს და პირდაპირ ეუბნება, რომ უარი თქვას ასეთი ნაბიჯის გადადგმაზე.

**აი, რას წერს უკრაინული მედია:**

– წიტაიშვილი კიევის დინამოს სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტალანტია. 15 წლისამ კიეველთა რიგებში უეფას ახალგაზრდულ ლიგაში ითამაშა, 17 წლისას კი პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი. სისწრაფე, ბურთთან მოპყრობა – ფეხბურთელს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ კარგ, თანამედროვე ფლანგის ნახევარმცველად ჩამოყალიბდეს.

20 წლის ასაკში ყველა ფეხბურთელს არ შეუძლია დინამოს სასტარტოში თამაში. საჭიროა განვითარება, რათა გუნდში მის პოზიციაზე მოთამაშე ვიქტორ ციგანკოვის წასვლის შემდეგ გამოთავისუფლებული ადგილი დაიკავოს. ვორსკლაში იჯარა გიორგის სასიკეთოდაა. მან უკვე პირველსავე მატჩში შეძლო გოლის გატანა.

უკრაინის პასპორტზე უარის თქმა წიტაიშვილზე ნეგატიურად აისახება. უკრაინაში ის ლეგიონერი გახდება. მას აღარ იქნება არავითარი პრეფერენცია და უკვე ერთი თავით მაღლა უნდა იდგეს უკრაინის პასპორტის მქონე ფეხბურთელებზე. რაც მთავარია, ფეხბურთელი დაკარგავს უკრაინის ნაკრებში მოხვედრის შანსს.

ჩვენი ეროვნული გუნდი, განსხვავებით საქართველოსგან, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თამაშობს. ქართველებს კი, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, ამ დონის ტურნირებზე არასდროს უთამაშიათ. იქაური ადგილობრივი ფეხბურთიც დაბალ დონეზეა, არ ჰყავთ ხარისხიანი ფეხბურთელები. მათი ვარსკვლავები გიორგი ჩაკვეტაძე (რომელსაც გენტის შემადგენლობაში ადგილი მყარად არ აქვს) და ხვიჩა კვარაცხელია (ყაზანის რუბინი) არიან. საეჭვოა, მომავალში ქართველებს კონტინენტურ ტურნირზე მოხვედრის სერიოზული პერსპექტივა ჰქონდეთ.

წარმატებული ნაკრების გარეშე წიტაიშვილს გაუჭირდება ევროპულ კლუბში გადასვლა, მით უმეტეს, რომ მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე იქ უკვე „მყარად“ დგანან თურქეთის ჩემპიონატში მოთამაშე ლეგიონერები – საბა ლობჯანიძე და ლევან შენგელია. წიტაიშვილს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ექნება.

შახტარის ერთ-ერთი ტალანტი ბექა ვაჩიბერაძე იყო. მან უკრაინის ყველა ასაკობრივი ნაკრები გაიარა, შემდეგ კი გადაწყვიტა საქართველოს მოქალაქეობის მიღება. რაღაცის უშრომლად მიღწევის სურვილმა ერთ დროს ნიჭიერ მოთამაშეს კარიერა სრულებით დააკარგვინა. ბექა ჯერ მეორეხარისხოვან კლუბში გამოდიოდა, ახლა კი საერთოდ უგუნდოდ არის.

უკრაინის ნაკრებში კი ფლანგის მოთამაშის პოზიცია საკმაოდ პრობლემატურია. გიორგის შანსი ამ გუნდში მაღალია და საჭიროა მხოლოდ თავის გამოჩენა.

წიტაიშვილმა კბილი კბილს უნდა დააჭიროს და კარიერაზე იმუშაოს. დაბალი დონის ნაკრების არჩევა მას კარგს არაფერს მოუტანს, პირიქით, დიდ პროგრესს უნდა მიაღწიოს, რათა უკრაინის ეროვნულ ნაკრებში მოხვდეს. ეს უნდა იყოს ფეხბურთელისთვის გამოწვევა და არა სენტიმენტები თავისი მშობლების სამშობლოს სახელით თამაშზე.

# ევრობასკეტი შეივსო

2022 წლის ევრობასკეტის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოა. აქედან გამომდინარე, ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოპოვებული გვქონდა. თუმცა საბოლოოდ გაირკვა 24-ვე გუნდი. ბოლო საგზურები ლიეტუვამ და ესტონეთმა მოიპოვეს.




ლიეტუველებმა ბეწვის ხიდზე გაიარეს და დანიაში მინიმალური სხვაობით მოგებით ევრობასკეტზე გავიდნენ. ესტონეთმა კი მთავარი ჯახი იტალიასთან მოიგო, რის შემდეგაც დაშვებულზე ნაკლები სხვაობით წააგო ჩრდილოეთ მაკედონიასთან და სანუკვარ საგზურს შესწვდა.

როგორც უკვე იცით, საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო ფანჯრის ფარგლებში 2 ტური გაიმართა, რომლის დაწყებამდეც ევრობასკეტის საგზური 11 გუნდს ჰქონდა მოპოვებული. ახლა უკვე სრულად დაკომპლექტდა და შედეგად 2022 წლის ევრობასკეტზე შემდეგი ნაკრებები ითამაშებენ: საქართველო, ჩეხეთი, გერმანია, იტალია, ხორვატია, საბერძნეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ისრაელი, ესპანეთი, სლოვენია, უკრაინა, რუსეთი, სერბეთი, ფინეთი, პოლონეთი, უნგრეთი, ბელგია, ნიდერლანდები, თურქეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ლიეტუვა.

ევროპის ჩემპიონატი 2022 წლის 1-18 სექტემბერს გაიმართება. მონაწილე 24 გუნდი 4 ჯგუფში განაწილდება და თითო ჯგუფს თითო ქვეყანა – საქართველო, გერმანია, ჩეხეთი და იტალია უმასპინძლებენ, ანუ თითო ქვეყანას ესტუმრება 5 ნაკრები და ჯგუფში მეექვსე მასპინძელი იქნება.

თითოეულ მასპინძელს თითო მეტოქის არჩევის უფლება აქვს. ეს პრაქტიკა იმ წელსვე დამკვიდრდა, რაც ევრობასკეტის მასპინძლობა ჯგუფური პრინციპით – 2015 წლიდან დაიწყო. ფიბა-მ ეს იმის გამო გააკეთა, რომ მასპინძლებს საშუალება ჰქონდეთ, ისეთი ქვეყნის ნაკრები ჰყავდეთ ჯგუფში, საიდანაც ქომაგები იოლად ესტუმრებიან და ამ გზით როგორც დასწრებადობა, ისე ფინანსური სარგებელი გაიზრდება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციასა და ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობას გადასაწყვეტი აქვთ, თუ რომელი ქვეყანა იქნება ჩვენი პარტნიორი და, შესაბამისად, ჯგუფის წევრი. საქართველოს ნაკრების დანარჩენ 4 მეტოქეს მარტში დაგეგმილი ევრობასკეტ 2022-ის კენჭისყრა გამოავლენს.

# შედეგები

## 24 თებერვალი

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ლაციო-ბაიერნი ............ 1:4
ატლეტიკო-ჩელსი ............ 0:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ლესტერი-ლიდსი ............ 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 25 | 18 | 5 | 2 | 50-15 | 59 |
| 2.მანჩესტერი | 25 | 14 | 7 | 4 | 53-32 | 49 |
| 3.ლესტერი | 25 | 15 | 4 | 6 | 44-27 | 49 |
| 4.ვესტ ჰემი | 25 | 13 | 6 | 6 | 39-29 | 45 |
| 5.ჩელსი | 25 | 12 | 7 | 6 | 41-25 | 43 |
| 6.ლივერპული | 25 | 11 | 7 | 7 | 45-34 | 40 |
| 7.ევერტონი | 24 | 12 | 4 | 8 | 37-33 | 40 |
| 8.ასტონ ვილა | 23 | 11 | 3 | 9 | 37-26 | 36 |
| 9.ტოტენჰემი | 24 | 10 | 6 | 8 | 37-27 | 36 |
| 10.ლიდსი | 25 | 11 | 2 | 12 | 43-43 | 35 |
| 11.არსენალი | 25 | 10 | 4 | 11 | 31-26 | 34 |
| 12.ვულვზი | 25 | 9 | 6 | 10 | 26-32 | 33 |
| 13.კრ.პალასი | 25 | 9 | 5 | 11 | 29-43 | 32 |
| 14.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 31-43 | 30 |
| 15.ბარნლი | 25 | 7 | 7 | 11 | 18-30 | 28 |
| 16.ბრაიტონი | 24 | 5 | 11 | 8 | 25-30 | 26 |
| 17.ნიუკასლი | 25 | 7 | 4 | 14 | 26-43 | 25 |
| 18.ფულემი | 25 | 4 | 10 | 11 | 21-32 | 22 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 25 | 2 | 8 | 15 | 19-55 | 14 |
| 20.შეფილდი | 25 | 3 | 2 | 20 | 15-41 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ნორვიჩი ............ 1:3
დერბი-ჰადერსფილდი ............ 2:0
მიდლსბრო-ბრისტოლი ............ 1:3
ლუთონი-მილუოლი ............ 1:1
როტერჰემი-ნოტინგემი ............ 0:1
უიკომბი-რედინგი ............ 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

პადერბორნი-ჰაიდენჰაიმი ............ 2:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ჰარტბერგი-ტიროლი ............ 1:0

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 2. ძველი ქართული დამწერლობა; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ცხენის მოსართავი; 6. უეფას პრეზიდენტი; 8. ცხარე საწებელი; 11. უბანი სოხუმში; 12. ქართული მინერალური წყალი; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 17. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

**თარაზულად:** 1. კუთხე საქართველოში; 5. ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 7. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 9. უაზრობა, სისულელე; 10. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 13. ხავერდის მსგავსი ხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 15. სვლა ჭადრაკში; 19. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 20. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 21. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 22. ფულის ერთეული ერაყში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აბულაძე; 2. ვენდეტა; 3. ანიონი; 4. ეპოქა; 5. ფარავანი; 7. აია; 11. ნევადა; 15. კარტელი; 16. ჟაკერი; 17. პაპყი; 18. მორზე; 20. მურეი; 22. ფეტა.

**თარაზულად:** 6. ბონსაი; 8. დეგნანი; 9. ლიოტარი; 10. ლოცმანი; 12. რანჩო; 13. ალუვი; 14. ტრავიატა; 19. ჰარლემი; 21. ხალიფა; 23. ოპეკი; 24. ჭყურტი; 25. ფლიგელი; 26. ვერდიქტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. რუზინე; 2. სუძუკი; 3. ენოლოგია; 4. ალკალა; 6. სალივანი; 8. სტრიპი; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. სელტა.

**თარაზულად:** 1. რაფსოდი; 5. ულისე; 7. ენისელი; 9. იოგურტი; 10. კასტელი; 13. პუდინგი; 14. ბატონი; 15. ბანი; 19. გუდიარი; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ბოჰემა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


25 თებერვალი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3198

ევრო — 4.0355

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6969

100 რუსული რუბლი — 4.5065

## ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისათვის




# 2 მარტიდან

## ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

### ტომი 3




სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## ლევანდოვსკიმ ჩემპიონთა ლიგაში 72 გოლი გაიტანა



მიუნხენის ბაიერნის ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ ლაციოსთან შეხვედრაში შეძლო თავის გამოჩენა და ჩემპიონთა ლიგაში მისთვის ეს 72-ე გოლი გამოდგა. ამ მაჩვენებლით მან რეალის ლეგენდას რაულს გაასწრო და ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირებში მესამე ადგილზე გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ პირველ ორ ადგილს ლიონელ მესი და კრიშტიანო რონალდუ იკავებენ, რომლებსაც, შესაბამისად, 119 და 134 გოლი აქვთ გატანილი.

## ალისონს რეალში გადასვლა შეექძლო



ბრაზილიელი მეკარის ალისონის აგენტმა ფაბრიციო დე ვეჩიმ საინტერესო ამბავი გაიხსენა იმის შესახებ, რომ რომაში ყოფნის დროს ალისონს რეალისგან შეთავაზება ჰქონდა და ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ის ბოლო მომენტში ჩაიშალა.

ალისონს სურდა რეალში კარიერის გაგრძელება და ტრანსფერის ჩაშლის გამო დამწუხრებულიც იყო.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ამერიკაში ექვსთათიანი ლეკვი დაიბადა



ამერიკის ოკლაჰომის შტატში ექვსთათიანი ლეკვი დაიბადა. ამ ინფორმაციას ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ნილის ვეტერინარული საავადმყოფო ავრცელებს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში საავადმყოფოს მფლობელმა თინა ნილმა განაცხადა, ბორდერ-კოლისა და ავსტრალიური ნაგაზის ნაჯვარი 16 თებერვალს რვა თანამოძმესთან ერთად ქარიშხლის დროს დაიბადა. უჩვეულო ლეკვს სახელად შკიპერი დაარქვეს და ის ვეტერინარულ საავადმყოფოში ქარიშხლის ჩადგომის შემდეგ მიიყვანეს.

ულტრაბგერითმა და რენტგენოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ შკიპერს ანომალია აღენიშნება: ორი თეძო, ორი საშარდე სადინარი, ორი რეპროდუქციული ორგანო, ორი კუდი და ექვსი თათი. ამასთან, სასიცოცხლო ორგანოები შესანიშნავ მდგომარეობაში აქვს. ლეკვი თავს კარგად გრძნობს. ვეტერინარები მასზე დაკვირვებას აგრძელებენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



**25 თებერვლისათვის**

**ვერძი** — ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **კურო** — წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ტყუპები** — აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **კირჩხიბი** — ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** — ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ქალწული** — მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავით მობილიზებული და ინიციატივიანი. **სასწორი** — ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** — გაბედულება, სითამამე და ორგანიზებულობა დღის დევიზია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** — დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **მერწყული** — შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **თევზები** — სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ნუ იჩხუბებთ ახლო ნათესავებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

— თქვენმა ძაღლმა მიკბინა, მოვითხოვ კომპენსაციას!

— რა პრობლემაა, მე დავაკავებ და თქვენ უკბინეთ.

●●●

ტელეფონის ზარი:

— ალო, გიგი, მე უკვე გავიღვიძე, შენ კიდევ ჩემ გვერდით არ ხარ... სად ხარ საყვარელო?

— ლელა, შენ სად ხარ შე დედა...ო?!!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— იცი, ძველად მონებს იმდენ საჭმელს და ტანსაცმელს აძლევდნენ, რომ მუშაობა შეძლებოდათ.

— ჰო, მას შემდეგ, პრინციპში, არაფერი შეცვლილა, ხელფასს იმდენს ვიღებთ, რომ მუშაობა გავაგრძელოთ.

●●●

მოსწავლე მასწავლებელს ეკითხება:

— მასწავლებელო, რამდენ წელს ცოცხლობს ვირი?

— რა იყო მიხო, თავს ცუდად ხომ არ გრძნობ?

●●●

ქალი წიგნს კითხულობს და ქმარს ეუბნება:

— ჰოო, ძვირფასო, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა!

— ლენინი?

— არა, კამასუტრა!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ანიტა რაჭველიშვილი: „ხალხის ძალა დიდია!“



ოპერის მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი მიიჩნევს, რომ ხალხის ძალა დიდია და ამ ძალის გამოყენებას თითოეულ ჩვენგანს ურჩევს:

— არ ვარ ნაცმოძრაობის მხარდამჭერი, რასაც არ უნდა მაბრალებდნენ, ვაკრიტიკებდი მათ მაშინაც და ახლაც! არც მელია მომწონს დიდად, სიმართლე რომ გითხრათ, მაგრამ ძალიან დიდი განსხვავებაა სამშობლოსთვის ბრძოლასა და უბრალოდ ენმ მხარდაჭერას შორის!

ვინც ვერ ხვდებით, ახლა რატომ უნდა გამოხვიდეთ გარეთ და იბრძოლოთ, რომ ამ არარაობების, მოღალატეებისა და რუსეთის მონების მთავრობა ციხეში ჩავაყუდოთ, მაშინ საერთოდ არ გესმით რეალური სურათის სიმძიმე!

ეს არ არის ქოცები თუ ენმ, ხალხო! ეს არის ან საქართველო გადარჩება და დამოუკიდებლობას შევუნარჩუნებთ, ან რუსეთის მონობაში დაგვაბრუნებენ პუტინის შნირები მთავრობაში. ესენი რომ მოვაშოროთ, არ არის აუცილებელი, ენმ მოვიყვანოთ! მთავარია, ეს მონები მოვაშოროთ!

ხალხის ძალა დიდია! ეს არ იცის ქოცნებამ, მაგრამ იცის ენმ-მ. გამოიყენეთ ეს ძალა და აღარ დათმოთ იმ პარტიაზე, რომელიც გავა დრო და ისევ გაგვაუბედურებს! ხალხის ძალა ხალხისაა!

## კახა კინწურაშვილი: „საზოგადოების ზიზღში გათხვრა ადვილია“



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი კახა კინწურაშვილი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმაურება:

— 2012 წლის მერე ერთადერთი, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ თანმიმდევრულად და კარგად გააკეთა, არის ხალხში სიძულვილის გაღვივება ნაცების მიმართ. მტრის ხატის სახე მოხსნა რუსეთს და მიაწება ნაცებს.

ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას უყვარს სხვისკენ თითის გაშვერა, სხვაზე უკეთ თავის წარმოჩენა, სხვისი დამუნათება, დაჩმორება და ამით უპირატესობის მოპოვება. ამიტომ ეს გათვლა კარგად მუშაობს. ასეთი საზოგადოების ზიზღში გათხვრა ადვილია.

სანამ არ გავთავისუფლდებით წარსულის ტყვეობიდან ყველაფერში, მანამდე იქნება ამ ქვეყანაში ივანიშვილი მმართველი, რუსეთი თავისი ინტერესების გამტარებელი და ნიკა მელია გმირი.

## თეატრები რეპეტიციებს 15 მარტიდან განაახლებენ

თითქმის ერთწლიანი იძულებითი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ საქართველოს თეატრები მუშაობას 15 მარტიდან განაახლებენ.

ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გაავრცელა:

თეატრების, სპორტული კლუბების, პროფესიული ანსამბლების შემოქმედებითი პროცესი 2 ეტაპადაა დაყოფილი. პირველი ეტაპი, რომელიც გულისხმობს სარეპეტიციო პროცესსა და ვარჯიშს, დაიწყება 15 მარტიდან, ხოლო საქმიანობის სრულად აღდგენა, რაც გულისხმობს თეატრალურ წარმოდგენებს, კონცერტებს, სპორტულ შეჯიბრებებს, უკვე მაყურებლების დასწრებით, აღდგება 1-ლი აპრილიდან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## გოგი გეგეჭკორი 98 წლის გახდებოდა



თეატრისა და კინოს მსახიობი გოგი გეგეჭკორი 98 წლის გახდებოდა. მისი დაბადების დღე რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაიხსენა:

— 2003 წლის 23 თებერვალს მსახიობ გიორგი გეგეჭკორის საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრის ნაცვლად, რადგან იქ ამ დროს რემონტი მიმდინარეობდა, კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა. საღამოს ძირითადი და, მე ვიტყოდი, უმთავრესი ნაწილი დაეთმო ია შერაზადიშვილის ფილმ „ხელოვნების ქურუმის“ პრემიერას. სცენარის ავტორი იასთან ერთად ბატონი კოტე მირიანაშვილი გახლდათ. ფილმში მთავარ როლს ბატონი გოგი „თამაშობდა“... ხუმრობდა კიდეც, ყველაზე რთული გოგი გეგეჭკორის როლის შესრულება იყოო. ზემოთ ხსენებული ფილმი ხომ მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეხებოდა.

საღამოს შემდეგ რესტორანში გაგრძელდა საიუბილეო ვახშამი, რომელიც ძალიან ჰგავდა კინოფილმ „არ დაიდარდოს“ ერთ-ერთ ცენტრალურ ეპიზოდს, თავად იუბილარი კი — სერგო ზაქარიაძის მიერ შესრულებულ პერსონაჟს. ბატონმა გოგიმ ზუსტად იცოდა, რომ უკურნებელი სენით იყო დაავადებული და ეს ფილმიც, იუბილეც და ის სუფრაც გამოთხოვება იყო შემოქმედებასთან, ოჯახთან, მეგობრებთან, სიცოცხლესთან.

ქართული თეატრის ისტორიაში იშვიათი იყო მსგავსი შემთხვევა... შემთხვევა, რომელმაც დაამარცხა სიკვდილი და იგი ორგანულად მარადისობაში გადაიყვანა. მისი შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი ნათელა ურუშაძე, ხუმრობით იტყოდა ხოლმე — გოგი ისეთი მოწესრიგებული კაცია, ჩემი ორმოციც გადახდილი რომ ჰქონდეს, უბედნიერესი იქნებოდაო. ჰოდა, სწორედ ამ მოწესრიგებულობით თავად გამართა საკუთარი გამოთხოვება, ოღონდ — ხელოვნების რანგში აყვანილი და მაქსიმალურად არაპესიმისტური.

ქართული თეატრის ისტორიას უამრავი ნიჭიერი ადამიანის გვარი ამშვენებს. მათ ეს ისტორია გაალამაზეს, დაამშვენეს საკუთარი ნიჭიერებით, თუმცა უკიდურესად მოწესრიგებულ, მაღალი რანგის პროფესიონალ არტისტთა ჩამონათვალში გიორგი გეგეჭკორი ყოველთვის ერთ-ერთი პირველი დასახელდება. ნამდვილად ასეთი იყო და იმიტომ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და მგელი — ეს ის ორი როლია, რომლებსაც გიორგი გეგეჭკორი ათწლეულის განმავლობაში თამაშობდა, ტიგრანას კი — ზუსტად 32 სეზონი უცვლელად. თითოეული 500-ჯერ და მეტჯერ ითამაშა და ყოველთვის ისე, როგორც საპრემიერო წარმოდგენა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. გამოჩენილი ორატორის სახელწოდება ძველ რომში; 2. მონარქიული სახელმწიფოს დროებითი მმართველი მეფის მცირეწლოვნების გამო; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. გერმანელი მწერალი; 5. ჩინური ფაიფური; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 15. ტრამვაის მძღოლი; 16. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 17. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 20. კოვბოების შეჯიბრება; 22. ქართული სპორტული რადიო.

**თარაზულად:** 6. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 8. სოფლის შარაგზა; 9. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად; 10. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 12. წნული ქოხი სამეგრელოში; 13. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 14. მხარეთა თანასწორობის პრინციპი კონფლიქტის გარჩევისას; 19. დედამიწის ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 21. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 23. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 24. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*